



832  
1949

ჩვენ

დროშა

“NOTRE DRAPEAU”

პარიზი

თებერვალი

Paris.

1949

„ჩვენის დროში“

ასეთია ჩვენი ჟურნალის სათაური.

ჩვენი დროში არახალია, ძველია. ის იქმნა აფრიალებული საქართველოს სოციალ-დემოკრატიის მიერ თავიდანვე, ამ ნახევარი საუკუნის წინ. ქართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის პირველსავე კრებამ 1893 წელს, რასაც დაესწრო ყველა ახლათ დაარსებული ჯგუფის წევრები, რიცხვით შვიდი, მოიწონა და მიიღო ნოე ჟორდანიას პირველი მოხსენება ქართველი ერის განვითარების შესახებ, რაიცა დაიბეჭდა ლეგალურ ჟურნალში—«მოამბე»-ში—1894 წ. ამ სათაურით: «ეკონომიური წარმატება და ეროვნება».

აი ამ წერილის დასკვნები:

«ამ სახით, ჩვენ მივადექით შემდეგ დასკვნას: 1) ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა; 2) თავისუფლება მთელი ერისა და თვითეული პიროვნებისა, როგორც ხელშემწყობი პირობა უმთავრესი სურვილის მისაღწევათ და როგორც უახლოვესი საგანი მოწინავე დასის მოქმედებისა»<sup>1)</sup>.

ამნაირათ, თავისუფლება ერის, თავისუფლება ხალხის იყო და რჩება უცვლელი ჩვენ დროშიათ. ამ ნიადაგზე წარმოებული ბრძოლა 25 წლის განმავლობაში დაბოლოვდა 1918 წ. სრული გამარჯვებით; ქართველი ერი და ხალხი გახდა თავისუფალი და შეუდგა თავისი ცხოვრების აწყობას თავისი სურვილისამებრ. მან მოახდინა ღრმა რეფორმები ცხოვრების ყველა დარგში—სოციალურში, ეკონომიურში, ნაციონალურში, პოლიტიკურში. საქართველო შევიდა საკაცობრიო ოჯახში თავისი საკუთარი დროშით, თავისი იშვიათი მიღწევებით.

და აი ახლა ეს საქართველო აღარ არსებობს. მას შეესია გარეშე მტერი, მოსკოვის ურდოები და ხუთი კვირის ომის შემდეგ დამარცხდა.

მაგრამ არ დამარცხებულა ჩვენი დროშია, ის რჩება უცვლელათ, ეწევა ხანგრძლივ ბრძოლას, ის არ ურიგდება საგარეო ოკუპაციას და უცდის ხელსაყრელ დროს, ძალთა ახალ კომბინაციას, ფეხზე წამოსადგომათ, თავის სამშობლოს დასაპატრონებლათ და დაწყებული რეფორმების გასაგრძელებლათ.

ასეთია ჩვენი დროშია, ამას ემსახურება ჩვენი ორგანო, მას იცავს და იბრძვის მის განსახორციელებლათ.

<sup>1)</sup> ეს წერილი დაიბეჭდა ცალკე ბროშურათ პარიჟში 1937 წ.

## მ ი მ ლ ი ნ ა რ ე ს ა კ ი თ ხ ე ბ ი .

### 1. საბჭოთა საშინაო პოლიტიკა.

ოთხ წელზე მეტია, რაც მხოფლიო ომი გათავდა რუსეთის და მისი მოკავშირე დემოკრატიული ქვეყნების გამარჯვებით. ამ დროს განმავლობაში დასავლეთში მოხდა ბევრნაირი საშინაო და საგარეო ცვლილებები, ბევრნაირი სოციალური, პოლიტიკური და ნაციონალური რეფორმები. ინგლისში ხალხმა აირჩია მუშათა პარტიის მთავრობა და დაიწყო შეუწყვეტელი ახალ-ახალი ზომები. ის გამოვიდა ინდოეთიდან და გამოაცხადა ინდოელთა სუვერენობა თავის საშინაო საქმეებში. ის აღარ ერევა არც ერთი თავისი კოლონიის მართვა-გამგეობაში და კმაყოფილდება მხოლოდ გარეგანი კავშირით.

საფრანგეთმა გამოუცხადა თავის მორჩილ ერებს თავის სუფლება და დაიტოვა თავისთვის საგარეო კავშირი. ერთი სიტყვით, დასავლეთ ევროპაში წარმოებს ღრმა ცვლილებები ყველა სფეროში. ამ საერთო მსვლელობიდან გამდგარია ერთთა-ერთი გამარჯვებული საბჭოთა სახელმწიფო. მან დასდვა აღთქმა, ხელი მოაწერა ხალხთა სუვერენობის დეკლარაციას იალტის კონფერენციაზე, ატლანტიკის ხარტიის, პოტსდამის ხელშეკრულებაში, მაგრამ არცერთი ეს პირობა არ შეასრულა, ხალხთა და ერთა ბატონობა არ განუხორციელებია.

რით აიხსნება მოსკოვის ასეთი განდგომა მსოფლიო ზნიდან?

ამის პასუხს იძლევიან ჯერ საგარეო მინისტრი მოლოტოვი თავის ექვსი ნომბრის სიტყვაში 1945 წ. და სტალინი 9 თებერვალს 1946 წ. თავის საარჩევნო სიტყვაში. მოვიყვანოთ ეს უკანასკნელი, როგორც ყველაზე უფრო ავტორიტეტული. მან სთქვა:

«ომმა დაგვანახვა, რომ საბჭოთა საზოგადო წყობილება არის ნამდვილი სახალხო წყობილება, ამოსული ხალხის სიღრმიდან და ამიტომ სარგებლობს მისი ძლევაძმოსილი დახმარებით. საბჭოთა წყობა არის სავსებით ცხოველმყოფელი და ურყევი ფორმა საზოგადოების ორგანიზაციისა... საბჭოთა წყობილება აღმოჩნდა უფრო ცოცხალი და შეურყეველი, ვინემ არასაბჭოთა. ის არის საუკეთესო ფორმა საზოგადოების წყობისა, ვინემ რომელიც გინდათ არასაბჭოთა წყობა... ომმა დაგვანახვა, რომ საბჭოთა მრავალერთა სახელმწიფომ გამარჯვებით გადაიტანა ბევრნაირი სიმწარე, ომის მსვლელობაში კიდევ უფრო გამაგრდა და დამტკიცდა მისი ცხო-



19208

ველმყოფელობა... ის აღმოჩნდა მაგალითი მრავალეროვანი სახელმწიფოსი, ის არის ისეთი სისტემა სახელმწიფოს მოწყობისა, სადაც ნაციონალური საკითხის და ერთა თანამშრომლობის პრობლემა გადაჭრილია უკეთესათ, ვინემ სხვა რომელიმე მრავალეროვან სახელმწიფოში» («პრაგმა» 10.2.46).

ერთისიტყვით, რაკი საბჭოებმა ომი მოიგო, ის ურყევია, ყოველად შემძლეა, ხელშეუხებელია. ე. ი. მოგებული ომი არ საჭიროებს რეფორმებს; მაშასადამე, რეფორმების წყაროა წაგებული ომი. ეს თეორია, უქვეელია, არსებობდა, ახლაც არსებობს. მაგრამ არა დასავლეთში, არამედ მხოლოდ და მხოლოდ რუსეთში, ყველა მეფეთა რეჟიმში. საკმარისია მოვიგონოთ წასულის ზოგი მოვლენანი. რუსეთის გამარჯვებამ ნაპოლეონზე 1812—13 წ.წ. დასტოვა თვითმპყრობელობა ხელშეუხებელი, არავითარი ცვლილება, ბატონ-ყმობის გაუქმებაც კი არ მოუხდენია. სამაგიეროთ, ყირიმის ომის წაგებამ (1853—54 წ.წ.) გამოიწვია დიდი რეფორმები—ბატონ-ყმობის გაუქმება, ლიბერალური თავისუფლება, მწერლობის და აზროვნების აღორძინება და სხვა. ომის მოგებამ ოსმალეთთან 1879 წ. გამოიწვია რეაქცია, ხოლო იაპონიასთან წაგებულ ომმა 1905 წ. მოგვცა დუმა, 1917 წ. წაგებულ ომმა შექმნა დემოკრატიული რესპუბლიკა, რაიცა დაანგრია ბოლშევიკურ გადატრიალებამ.

ამნაირათ, ძველი მეფეთა რეჟიმის იდეოლოგია შეთვისებული და განმეორებულია დღეს საბჭოების მიერ. ომში გამარჯვება თავდება საშინაო წყობილების უაღრესობის და ხელშეუხებლობის. საბჭოთა მართველობა არავითარ დარგში არ შორდება თვითმპყრობელთა წასულს, ის მას ავრძელებს ახალი სიტყვიერებით.

რუსეთის მიერ ომის ხან მოგება, ხან წაგება ხდება ერთიდაიგივე მიზეზებით—ხალხის მდგომარეობით, როცა ის კმაყოფილია, თავის მთავრობას არ ებრძვის, ის მას მისდევს ომში და ზაფში; როცა, პირიქით, ის უკმაყოფილოა, არავითარ რეფორმას არ ხედავს მის სასარგებლოთ და ჩუმ ბრძოლას აწარმოებს ბატონის წინააღმდეგ, ის ომში აღარ იბრძვის და სახელმწიფო მარცხდება. მხოლოდ ამ დიდი კატასტროფის შემდეგ თვალები აეხილება მართველ წრეებს და იწყება ცვლილებები.

საბჭოებმა მოიგეს დიდი ომი. რატომ? განა იმიტომ, რომ ხალხს და ერებს მოსწონდათ არსებული წყობილება? რასაკვირველია არა. მას დაურჩა ასარჩევათ დილემა: ან უცხო გერმანული ფაშისტური დიქტატურა, ან ნაციონალური, რუსულ-ბოლშევიკური. მესამე გამოსავალი აღარ იყო და მან ძალაუნებურათ აირჩია უკანასკნელი. ამ ამბის ისტორია ცნობილია. სანამ ფაშისტური დროშა რუსეთში აფრიალდებოდა, მანამდე კიდევ გამოელოდენ გერმანელთაგან შედევითიან რეჟიმს, ამიტომ რუსის მეომრები ათასობით ვარდებო-



დენ ტყვეობაში. ღენერალ ვლასოვის ნახევარ მილიონიანი ანტი-კომუნისტური ჯარის შედგენა ცნობილია. მაგრამ როგორც კი რუსეთში გერმანელებმა ფაშისტური დროშა ააფრიალეს და ხალხმა მისი სიმწვევე იგემა, მთავრობის ბანაკი გამაგრდა და გაიძარჯვა.

და აი ახლა, ამ ცნობილ ფაქტებს კრემლი ხელს აფარებს, აღარ ხედავს და მით მომავალ ომში თავის სამარეს ამზადებს. ყველა ევროპიული მთავრობა მუშაობს სწორეთ ამ ხაზით—ხალხს მისცეს ყოველნაირი შეღავათი, შექმნას სახალხო რეჟიმი, რომლის დაცვა ომის დროს მცხოვრებთა დროშაა.

ამნაირათ, საბჭოთა მთელი საშინაო პოლიტიკა გამოიხატება ერთ დებულებაში: შეინარჩუნოს მთელი ძალაუფლება, იყოს ერთად ერთი ბატონი და ბრძანებელი მთელი ქვეყნის, გაამაგროს და შეინახოს თავისი დიქტატურა. აქ ადამიანი, საზოგადოება არაფერია, მასალაა, მთავრობა ყველაფერია, ამ მასალის დამმუშავებელი და პატრონია. ასეთ პირობაში მთავრობისაგან, რასაკვირველია, არავითარ რეფორმას არ უნდა გამოველოდეთ; ვინაიდან ეს იქნება ძალაუფლების ჩაკეტილი კარების გახსნა და შიგნით შემოშვება ყოველივე უფლებას მოკლებული მცხოვრებთა მახეზის.

საბჭოთა მთელი საშინაო პოლიტიკა გამოიხატება აი ამ ჩაკეტილი კარების გამაგრებაში, ხალხთა და ერთა თავის საბრძანებელში შენახვაში, ყოველივე ცვლილების ხალხის სასარგებლოთ უარისყოფაში.

## 2. საბჭოთა საგარეო პოლიტიკა.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკა გამომდინარეობს მისი საშინაო პოლიტიკისაგან. როგორც ის უცქერის თავის ქვეშევრდომთ, ისე უცქერის უცხო ერებს და მათ მართველობას. მოსკოვის მთავარი საგარეო დროშაა ერთადერთი ცნობილი და ურყევი: რამენაირათ, ომით თუ ზავით, გააფართოვოს თავისი საბრძანებელი, შემოიყვანოს თავის უღელს ქვეშ რაც შეიძლება მეტი ერი და ტერიტორია და მით საბჭოთა რეჟიმი გახადოს მსოფლიოს რეჟიმათ. ამ ხაზით მუშაობს ის მუდამ შეუჩერებელი, ყოველგან, მთელ მსოფლიოში პროპაგანდით და ორგანიზაციულათ, საჭიროების დროს იარაღით.

უკანასკნელი მსოფლიო ომში არცერთ გამარჯვებულ სახელმწიფოს არ შემოუერთებია სხვისი ტერიტორია, არ დაუპყრია უცხო ხალხი. გამონაკლისია მხოლოდ მოსკოვი. მან შეიერთა 700.000 ოთხკუთხი კილომეტრი ტერიტორია, 20 მილიონი მცხოვრებით. შიგნიდან ააფეთქა ყველა სლავიანთა სახელმწიფონი, რუმინია-ვენეგრის დამატებით, გააბატონა თავისი კომუნისტური რეჟიმი და მით გაადიდა თავისი საბრძანებელი. ამ ხაზით მუშაობას ის განაგრძობს ყოველგან, ყველა ერში.

ერთისიტყვით, საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ერთადერთი მიზანია მოიპოვოს მსოფლიოს ჰეგემონია. ბოლშევიკების მოძღვრებით შესაძლებელია არსებობდეს მხოლოდ ერთი ცივილიზაცია. ორი მოპირდაპირე ცივილიზაციის არსებობა შეუძლებელია, ასეთი მოვლენა ისტორიამ არ იცის. და თუ მოსკოვმა ვერ მიიღწია ამ მსოფლიოს ბატონობას, ის დანგრევა, მოპირდაპირე რეჟიმი გაიმარჯვებს მასზე და მსოფლიოში. აი ამ დროშის ქვეშ ის ეწევა დიდ, შეუჩერებელივ, მუშაობას ყოველგან, ევროპაში, აზიაში, ამერიკაში და აფრიკაში. ამ საქმისათვის შექმნილია ახალი ინტერნაციონალი სახელათ კომინფორში. ამჟამათ შინაური სამოქალაქო ომით ჩინეთი გადადის კომუნისტების ხელში.

როგორ უყურებს ამ მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას კაპიტალისტური და დემოკრატიული ქვეყნები?

უყურებენ სავსებით პასიურათ, არსად არავითარი დახმარება ანტიკომუნისტური მოძრაობისათვის, არც ფულით, არც იარაღით. ჩინეთის მთავრობასაც კი არ ეხმარება მისი მეზობელი ამერიკა. ყველა მოკალათებულია თავის შინ, ხოლო საგარეოთ გამოტანილია დაუსრულებელი კრება და ლაპარაკი. ონუს სამი თვის სჯა-ბაასმა ვერ მოაგვარა არა თუ რუსეთთან დამოკიდებულება, არამედ პალესტინის საკითხიც კი ვერ გადასჭრა.

ნაციონალური ეგოიზმი, სხვისი ჭირი—ლობეს ჩხირი, რაზედაც წინეთ ვსწერდი, არ ნელდება; ის ხდება მსოფლიოს მოვლენათ, საიდანაც გამოსულია მხოლოდ ერთადერთი საბჭოთა რუსეთი; ის ეხმარება ყველა კომუნისტურ პარტიას, მთელ მსოფლიოში. რასაკვირელია დასავლეთი და ამერიკა ეშაადება ომისათვის, ეშაადება მხედრულათ, აწყობს საერთო შტაბს, საერთო სამხედრო დარაზმულობას; მაგრამ ამას არ ახლავს იდეური და პოლიტიკური მუშაობა და მით ნიადაგის მომზადება თვით საბჭოთა ხალხებში ომის მოსაგებათ. გაბატონებული ბურჟუაზიული დემოკრატია არავითარი ზომით არ ცდილობს საბჭოთა წყობილების შიგნიდან აფეთქებას.

ასეთია ეს ორი დღეს დაპირდაპირებული ბანაკი. ვის დარჩება ბურთი და მოედანი? რუსეთის ძველისძველი საჰეგემონიო დროშა არასოდეს არ ყოფილა ასეთ ხელსაყრელ პირობებში, როგორც დღეს არის. მაგრამ მას თან ახლავს ერთი ისეთი განუყრელი თვისება, რაიცა ბოლოსდაბოლოს მას დაანგრევს. მისი დროშა დამყარებულია ისეთ პოლიტიკურ და სოციალურ რეჟიმზე, რაიცა ეჯავრება ყველა ერს და ხალხს. მაშასადამე ამ დროშას არ ყავს შესაფერი მეთაური. საბჭოთა ტირანიას მხარს არ უჭერენ საბჭოთა ხალხები; მისი მომხრეა მხოლოდ ბოლშევიკური პარტია, შექმნილი კრემლიდან, მაღალი მოხელენი და ინტელიგენციის მცირე ნაწილი. დანარჩენ მოსახლეობას ჭირივით ეჯავრება არსებული რეჟიმი და

ნატრობს მის დანგრევას; მათ შორის ვერავითარი საერთო ენა ვერ გამოინახა; კრემლს არ ესმის, არც სურს გაიგოს ხალხთა გაჭირვება, მათი უსაშინელესი ექსპლოატაცია სახელმწიფოს მიერ, მათრახით ხელში.

ამჟამათ ყველა სახელმწიფო ემზადება ომისათვის. მათ შორის რუსეთიც. მაგრამ მთავარი მომზადება მდგომარეობს მცხოვრებთა მომხრობაში, მათი მიუცილებელი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, მის და მთავრობას შორის იდეური და პოლიტიკური კავშირის შექმნაში. ამ ხაზზე მუშაობს ევროპის ყველა მთავრობა, ამას არ სჩადის საბჭოთა მთავრობა. ის განმარტოვებულია ხალხისაგან და მას ეპირდაპირება იარაღით ხელში. საბჭოთა მთავრობას ეპირდაპირება დღეს ორივე ძალა—საგარეო და საშინაო, მათი კონტაქტი, მათი შეხვედრა მოხდება ომის მსვლელობაში, რაიცა გამოიწვევს შინაგან რევოლუციას, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა მოსკოვის იმპერიაში. თუ ომი არ მოხდა, მკვიდრი ზავი დამყარდა, ხალხის იგივე სულიწვეთება იშოვის გამოსავალს შინაგან მოძრაობაში, ბრძოლით და თავისდადებით თავისი შესაფერი მართველობის შექმნაში. ამ გზით თუ იმ გზით, საბჭოთა რეჟიმი განწირულია; ასე ყოფილა მუდამ, ასე იქნება დღესაც.

### 3. ჩვენი ადგილი.

დღევანდელ არეულ-დარეულ მსოფლიოში, საგარეო და საშინაო დაპირდაპირებაში ერთიმეორესადმი, ნაციონალურ და სოციალურ დაუდგრობლობაში, სად არის ჩვენი ადგილი, სად უნდა მონახოს საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიამ თავისი ნავთსაყუდელი, რა ხაზზე, რა ნიადაგზე დაამყაროს და განაგრძოს თავისი მუშაობა, თავისი სახელოვანი წასულის შენახვა და გაგრძელება?

ევროპა იყოფა ორ ბანაკათ, დგება ორი მოპირდაპირე ბლოკი, ერთი უკვე შემდგარია, აღმოსავლეთ ევროპის სლავიანთა კავშირი შეკრულია; მას ახლა ეპირდაპირება განზრახული დასავლეთის ბლოკი. წაქანებული დასავლეთის გაერთიანება ჩრდილ-ამერიკის მეთაურობით და დახმარებით.

ამ ორ ბლოკს შორის, სად არის ჩვენი ადგილი?

ჩვენ ვართ იქ, სადაც ვიყავით თავიდანვე, უკანასკნელ ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ჩვენი დროშა რჩება იგივე, რაც გვეონდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის აღორძინებიდან. ეს არის: თავისუფლება ხალხის, თავისუფლება ერის, დემოკრატია და ნაცია. ასეთი იყო და არის ჩვენი დროშის პოლიტიკური იდეოლოგია, ხალხი მისი სოციალური შინაარსი მუდამ მიმდინარეობდა ერთ ხაზზე, რაიცა იქნა განხორციელებული დამოუკიდებელ საქართველოში. ამ ხაზის ეტაპებია: სხვილი საკუთრების გადაცემა ერისათვის, წვრილი საკუთრების დატოვება პატრონთათვის ხელშეუხებ-

ლათ. ამ ორი ფორმის საკუთრებას შორის მყარდება საერთო სოციალური ბლოკი წარმოების და აღებ-მიცემობის სფეროში. მყარდება ხალხური დემოკრატია, ხალხური ეკონომია.

ამ დროში თუ მიუდგებით მსოფლიო ორ ბლოკს დავინახავთ შემდეგს:

რამდენათ დასავლეთის ბლოკს მეთაურობენ კაპიტალისტები, სხვილი მესაკუთრენი, სიმდიდრის და გამორჩენის მადიებელნი, ჩვენ მასთან არ ვართ, მის სოციალურ ხაზს არ ვიზიარებთ. ხოლო თუ ის სცნობს ხალხთა და ერთა თავისუფლებას, მას ავრცელებს და იცავს როგორც თავის ნაციონალურ სახელმწიფოში, ისე მისგან დამოკიდებულ თუ დამოუკიდებელ ერთა შორის, იმდენათ მას ვუახლოვდებით, თუ კი ის ჩვენ ნაციონალურ დროშას იცნობს და მის გატარებაში ხელს შეგვიწყობს.

რამდენათ აღმოსავლეთის ბლოკს მეთაურობს საბჭოთა რუსეთი, ე. ი. პოლიტიკური, ნაციონალური და სოციალური დესპოტია, მასთან საერთო არაფერი გვაქვს, მის გამზრეთ და დამცველათ ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოვალთ. საბჭოთა ერთი დიდი პროგრესიული რეფორმა—სხვილი საკუთრების ერის საკუთრებათ გამოცხადება—მათ აქციეს დიდ რეგრესიულ მოვლენათ, მისი პატრონობის და დამუშავების დესპოტიური წესით, ასეთივე ზომების წვრილ მესაკუთრებზე გავრცელებით, მთელი ერისთვის ყველა ფორმის საკუთრების წართმევით და საერთო იძულებითი კოლმეურნეობის შემოღებით. აქ ადამიანი, ხალხი არაფერია, სახელმწიფო და მისი აპარატები ყველაფერია.

ჩვენი დროშა ამ ორი ბლოკის გადაყვანა ერთ საერთო ნიდაგზე—ხალხის და ერის თავისუფლების და სხვილი საკუთრების ნაციონალიზაციის საფუძველზე.

განსაკუთრებით საშიშარ მდგომარეობაშია დღეს ქართველი ერის არსებობა. რუსეთში აღსდგა და გაბატონდა მესამოცე წლების მოღვაწის აქსაკოვის სლავიანოფილური მოძღვრება, რასაც მაშინ ებრძოდენ გამოჩენილი რუსის მწერლები, წოდებული «ზაპადნიკებათ» (დასავლეთლები), ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვის მეთაურობით. აქსაკოვის იდეოლოგია დამარცხდა ყველა სფეროში, ის არც მეფეთა მთავრობამ გაიზიარა. დაიწყო რუსეთის გაევროპიკლება სოციალურათ. უქმდება ბატონ-ყმობა, შემოიღეს ერთობა. შემდეგ მოიწვიეს «დუმა», რაც ბოლოვდება დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადებით (თებერვალი 1917 წ.). აი ეს ევროპიული ხაზი სავსებით მარცხდება ოქტომბრის გადატრიალებით იმავე წელს და ბოლშევიკური რეჟიმის დამყარებით.

ეს აზვირთებული სლავიანოფილური ტალღა ემუქრება დღეს რუსის ერს აწიურ ერთ გადაქცევით, ხოლო არარუსისას, არასლავიანურ ერებს თავისი ტერიტორიიდან გადარეკით და მათ სამშობლოში სლავიანთა დასახლებით, რო-



გორც ეს უკვე მოიმოქმედა ჩრდილო-კავკასიელთა, ამ ძველისძველ ერთა მიმართ. მოსკოვმა ეს დიდი დანაშაულობა ჩაიდინა გამოგონებული და გაზვიადებული მოტივებით. თუკი მთელი ერია გადასასახლებელი მისი მცირე ნაწილის მტრისათვის მიმხრობის გამო, ამ შემთხვევაში პირველყოფისა უნდა დასმულიყო საკითხი თვით რუსის ერის არსებობის შესახებ ვლასოვის ნახევარმილიონიანი ანტი-კომუნისტური რუსის ჯარის შედგენის გამო. სჯიან დამნაშავეთ და არა უდანაშაულოთ, ქალებს და ბავშვებს.

ცხადია, მოსკოვის გავლურებული სლავიანოფილები ეძებენ საბაბს არა-რუსთა გასანადგურებლათ და ჩვენი ვალია ასეთი საბაბი არ მისცეს ქართველობამ. ასეთ საბაბათ იქნება გამოყენებული ქართველების ჩაბმა რაიმე საომარ ავანტიურაში, თუ ომი ატყდა. ასეთი წინადადება მისცეს ქართველობას ორხელ, ორივე უკანასკნელ ომში, მაგრამ ის მათ არ გაყვა და მით აიცილინა ოსმალეთის სომხეთის და შემდეგ ჩრდილო-კავკასიელთა ბედი.

საქართველოს სოციალ-დემოკრატია დგას რა ამ წინადაგზე ინახავს ქართველი ერის ამ დიდებულ ტრადიციას, არ ჩარევა არავითარ საგარეო შეიარაღებულ კონფლიქტში და კმაყოფილდება ძველი ნაცადი ტაქტიკით: აწარმოვოს საშინაო მუშაობა, საბჭოთა წყობილების დემოკრატიულ წყობილებათ გადასაქცევათ, ხალხის და ერის თავისუფლების გასამარჯვებლათ...

ნ. ე.

## დღევანდელი საერთაშორისო ვითარება და მისი გამოფხვავი მიზეზები.

წარმოიდგინეთ ადამიანი ბნელ სარდაფიდან დღის სინათლეზე გამოსული: ფიზიკურ წონასწორობა დაკარგულს, მას ფეხებზე მტკიცეთ დგომა ეძნელება,—ბორძიკობს; სინათლე თვალებს უჭრის—მხედველობა არ მორჩილობს, აზროვნება კოჭლობს—სინამდვილეში ვერ ერკვევა. საპირთა დრო, რომ სიბნელისაგან დაშავებული ორგანოები ახალ მდგომარეობას შეეჩვიონ და ნორმალურ კალაპოტში ჩადგნენ.

დაახლოვებით ასეთ სურათს იძლევა დღეს დასავლეთის საზოგადოებრივი აზრი. 30 წელი მან თითქოს უჭურში დაჰყო. მას სავსებით გამოეპარა ჩვენი ეპოქის მთავარი პრობლემა და სისწორით ვერ დააფასა ამ პრობლემის საერთაშორისო მნიშვნელობა, მისი ბუნება და მიზნები. ესლა კი, როცა დრომ თავისი ქნა და ბურჟისი თანდათან იფანტება, დასავლეთს უბრუნდება მხედველობის უნარი და ის გაოცებული შეჰყურებს მწარე სინამდვილეს. მისთვის ეს უკანასკნელი კიდევ არ არის სავსებით ნათელი. იგი ვერ მიმხვდარა, თუ რატომ ოთხი წლის სისხლის წვიმის შემდეგ კვლავ ომზეა ლაპარაკი; ვერ განუ-

მარტავს, თუ როგორ გუშინდელი მოკავშირე დღეს შეურიგებელ მტრათ ევლინება; ვერ მოუწელებია აზრი, რომ მიუხედავად უთვალავ ნივთიერ მსხვერპლისა, მისი ავტორიტეტი უდავოდ არ არის ცნობილი. მტერი განადგურდა, პიტლერი და მისი რეჟიმი სამუდამოდ მოისპო, გერმანია და იაპონია მიწაზე განართხული, მორჩილების რკინაშია ჩაქედილი, მაგრამ სავაჭრო გზები მაინც დახშულია და ბაზარი კვლავ დაკეტილი.

გავბედავთ და ვიტყვი, რომ ჩვენთვის, უბრალო მომკვდავთათვის, ამ გარეგნულად პარადოქსალურ მდგომარეობაში, გაუგებარი არაფერია. კერძო ცხოვრებაში, ძვირათ თუ ვინმე თავს დაიძვრენს ჩადენილ შეცდომის შედეგისაგან. ადრე თუ გვიან იგი, გაცემულ თამასუქივით, განადღებას მოითხოვს. საზოგადოებრივ ცხოვრებაშიდაც იგივე კანონია. დღევანდელი უმაგალითო საერთაშორისო მძიმე მდგომარეობა ლოლიკური დასკვნაა ათეულ წლების გასწვრივ ჩადენილ შეცდომათა.

დავიწყეთ იქედან, რომ დასავლეთს 1917 წ. ოქტომბრის გადატრიალების საერთაშორისო მნიშვნელობა სავსებით გამოეპარა. აქ არის სწორედ გასაღები ყველა მომყოლ მოვლენათა. დღეს ხომ აშკარაა, რომ ოქტომბრის აქტმა უდიდესი შენძრევა მოახდინა მთელ მსოფლიოში. ტენიკის ზღაპრულმა წინსვლამ მოსპო მანძილი და კაცობრიობისაგან შექმნა ერთი ბლოკი, ჰირში და ლხინში განუყრელი. ამიტომ რუსეთში მომხდარ დიდ ამბის რუსულ მოვლენათ გასაღება და ბოლშევიზმის სპეციფიურ რუსულ ავადმყოფობათ მონათვლა, ეს იყო უმნიშვნელეს ისტორიულ მომენტის ბუნების გადამახინჯება, რასაც ფატალურათ უნდა მოყოლოდა მომავალ პერსპექტივების დიამეტრიალურათ შებრუნებაც.

ლ. ჯორჯის თეზა: რუსეთში რა ხდება, ეს ჩვენი საქმე არ არის. ვაჭარი, ვაჭარია, კანიბალია იგი თუ ბოლშევიკია, დაედვა საფუძვლათ დასავლეთის რუსეთთან ურთიერთობას. დაიწყო «საქმიანობის» ხანა. ამაზე ჩვენ დიდ ხანს ვერ შევიჩრდებთ, ვიტყვიტ მხოლოდ, რომ მოსკოვმა ფართეთ გაულო კარები კაპიტალისტურ ქვეყნებს.

ყველამ შეიტანა თავის წვლილი საბჭოთა მძიმე ინდუსტრიის და ეკონომიკის აღდგენის საქმეში. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ მიმართულებით გერმანიის თაოსნობა. ათი წელი იღწოდა იგი რაპალოს ხელშეკრულობის ფარგლებში. მილიარდები ფულათ და ათასობით ტექნიკური ძალა შეიწირა მოსკოვის სამსახურმა და როცა მავრმა თავისი როლი შეასრულა და საბჭოთა ინდუსტრია მოღონიერდა, მავრი უკან მიიბრძანეს და მოსკოვმა კარები ჩაკეტა. დასავლეთი სახტად დარჩა: სავაჭრო ბაზარი ღამის სიზმარივით გაქრა, ხელში დარჩა კი რეალობა—საბჭოთა რეჟიმის გაძლიერება. ასეთია ბედი იმათი, ვინც უშუძლებელს მოინდომებს: ეკონომიკის

პოლიტიკისაგან ხელოვნურათ გათიშვას მიზნად დაისახავს. მოსკოვს დასავლეთიდან არც მორალური დახმარება აკლდა. ეს მისია სოციალისტურმა ინტერნაციონალმა იკისრა და პირნათლადაც შეასრულა იგი. საბედისწერო გამოდგა მისთვის ბოლშევიზმის მუშათა კლასის, მტრის ბანაკში წინ წაჭროლ, მარცხენა ფრთად გამოცხადება. მსგავსი პოზიცია მას ავალეებდა ხელი აელა მის საწინააღმდეგეო აშკარა ბრძოლაზე, რამაც ლახვარი ჩასცა საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობას; ფრთები შეასხა კომინტერნს მუშათა კლასის თვალში და თვით ინტერნაციონალი კი გაკოტრების კარებამდე მიიყვანა.

ომიანობამ სავესებით დააგვირგვინა დასავლეთის მოსკოვის მიმართ აღებული ხაზი. ამ ბოლო ხანებში ხშირად გვეხმის სტალინის გენიოსობაზე ლაპარაკი. ლ. ზლიუმმა ეს «ტიტრი» საბოლოოვით მიაკუთვნა მას. სტალინის გამარჯვებათა მთავარი წყარო მის მოწინააღმდეგეთა სისუსტეშია. უკანასკნელი დიდი ომის ისტორიას თანდათან ფარდა ეხდება. უკვე გამოქვეყნებული მასალა დასავლეთის ხელმძღვანელთა დიდ შეცდომებს ააშკარავებს. საფრანგეთის საგარეო სამინისტროს ოფიციალურმა რუხველტის მოქმედება კონფერენციებზე «ფატალურ იმპროვიზაციათ» მონათლა; მეორე ორგანო იმავე რუხველტს სტალინის მიერ მოტაცებულ ბავშს უწოდებს (Kidnappé); ჩერჩილი განსვენებულ რუხველტს ხდის ტეჰერანის და იალტის კონფერენციათა პასუხისმგებლათ.

თუ ცალკე პირების «ფატალურ იმპროვიზაციაზე»-ა საქმე, სამართლიანობა მოითხოვს, რომ პირველ ადგილში ჰიტლერს უპირატესობა მივცეთ. სწორედ მან იხსნა დაუსრულებელი თავხედობით მოსკოვი მიუნხენის განმარტოებიდან. იმავე ჰიტლერმა გაიხადა სტალინი მოკავშირეთ და დასავლეთთან ომში ჩაება. 1941 წ. კი რუსეთს დაესხა და პატოლოგიური სიჯიუტით, ყველაფერი ქნა იმისათვის, რომ ომი წაეგო\*).

თეჰერანი, იალტა, თვით პოსტდამი, ეს ის ეტაპებია, სტალინმა რომ ტრიუმფით გაიარა. მოწმობს ეს მის გენიოსობას? თუ ეს დასავლეთის ვიწლის პოლიტიკას მიეწერება? რუხველტის პერსონალური პასუხისმგებლობა, ეს მდგომარეობის გამარტივებაა. ამ ფატალურ იმპროვიზაციებს უეჭველია ღრმა მიზეზები ქონდა წარსულში.

ომის ხანაში კი ანტინაზისტური კოალიცია, ეს უცნაური

\*) გასული წლის ოქტომბერში მთელი დასავლეთის პრესა მოიარა შემდეგმა ცნობამ: ბორგმანი, ჰიტლერის მოადგილე პარტიკოში, ცოცხალია და რუსეთში იმყოფებაო. ვფიქრობთ, რომ ეს სენსაციური ამბავი არ არის მართალი; მაგრამ Si non e vero, bei trovato—მართალს წააგავს, იმდენათ ჰიტლერი «ფატალურად» მოსკოვის წისქვილს ასხამდა წყალს.

სიმბიოზი დემოკრატიის და ტოტალიტარიზმისა, თვით თავის წიაღში ატარებდა წინააღმდეგობას, რაც მას ფატალურათ აბრძოლებდა არა მიზეზის, არამედ შედეგის წინააღმდეგ. ამიტომ ომის ქარ-ცეცხლში შედეგი გაქრა, ამოიწვა, თვით მიზეზი კი დარჩა. ენლა ის გვევლინება უფრო გაძლიერებული. ომიანობის ხანამ გაზარდა მისი ავტორიტეტი, წარმოუდგენელმა ნივთიერ და მორალურ განადგურებამ კი მას მისცა ახალი საზრდო, გააფართოვა და გააღრმავა მისი სამოქმედო ასპარეზი. ბელგიის პრემიერი სპაკის «ბოისკოტები» შექმნილ მდგომარეობის მქერმეტყველი დასურათებაა — უკეთესად ჩვენ ვერ ვიტყვით.

კაცობრიობა დღეს კვლავ ახალი ომის ფსიხოზშია გახვეული. შემდგარია ორი ბლოკი. ცხადია, რომ დრომ საზოგადოთ და ომის შემდეგ დატრიალებულმა ამბებმა ბევრს თვალეზი აუხილა. ის, რაც გუშინ დავას იწვევდა, დღეს უკვე უდავო ჭეშმარიტებათ გახდა. კაპიტალისტურ სახელმწიფოებს თანდათან მოსკოვთან შეთანხმების იმედი ეკარგებათ. ორ რეჟიმთა თანაარსებობა ეჭვის ქვეშ არის დაყენებული. მხოლოდ ნუ გადავამეტებთ. ახალი ომის საშიშროება თავისთავად ისეთი ძლიერი ფაქტორია; დასავლეთის მუშათა კლასის წრეებში მოსკოვისადმი სიმპატიები იმდენათ არის ომიანობის პროპაგანდით ჩანერგული, რომ სრულიათ ბუნებრივია ვივარაუდოთ «ცივი ომის» ხანგრძლივობა. დემოკრატიულ ქვეყნებში, თუ საზოგადოებრივი აზრი ომისათვის არ მომზადდა, მართველი წრეები იარაღს ვერ მიმართავენ<sup>\*)</sup>.

მანამ კი ჩვენ გვექნება საქმე ატმოსფეროს ცვალებადობასთან: შემთხვევის და მიხედვით, ნერვების დაჰიმვას, მათი განელება შესცვლის და პირუკუღმა. ბერლინის და პალესტინის ამბები ამის საუკეთესო მაგალითია. ყოველივე ეს, რასაკვირველია, მხოლოდ პროგნოზია. დღევანდელ დამძიმებულსაქვეყნო ატმოსფეროში შეუძლებელი არაფერი არ არის.

ნაპოლეონი იტყოდა, არის მომენტი, როცა ზარბაზნები თვით დაიწყებენ სროლას. ჩვენც სწორედ ასეთ მომენტს განვიცდით.

როგორია ორ ბლოკთა დღევანდელი პოზიციები? ან მათი მოსალოდნელი ევოლიუცია?

უნდა ითქვას აშკარად, გვსურს ჩვენ თუ არა, რომ მოსკოვს ამ ეჟამთ გაცილებით უფრო ძლიერი მდგომარეობა უქირავს, ვინემ მის მოპირდაპირე კოალიციას<sup>\*\*)</sup>.

<sup>\*)</sup> ამ დღეებში ფერმერთა სინდიკატმა ტრიუმანს მისი სახმედრო მინისტრის, Foresthal-ის გადაყენება მოსთხოვა — ბელიციტიაო (ომის მომხრეაო).

<sup>\*\*)</sup> ასეთივეა დასკვნა დასავლეთის ყველა ანტიკომუნისტურად განწყობილ ავტორიტეტებისა, უკლებლივ, ჩერჩილის თანდართვით. უადგილობის გამო აზრი კონკრეტულათ არ მოგვყავს.



ანტაგონისტთა ძალები განსაკუთრებით სამ ფრონტზეა დაპირისპირებული—აღმოსავლეთი, აღმოსავლეთი-ევროპა და დასავლეთი-ევროპა.

სამივე ფრონტზე მოსკოვის უმკვეთრესი იარაღი მეხუთე კოლონაა. სრულიათ უცნობი შემთხვევა ისტორიაში. მეომარ სახელმწიფოს მუდამ ქონდა მტრის ბანაკში «შპიონაჟის» აპარატი; მაგრამ მას არასოდეს არ გააჩნდა მოწინააღმდეგე მის ზურგში შეიარაღებული, სულიერათ მასთან დაკავშირებული, საერთო დისციპლინას დამორჩილებული ჯარი. ასეთი ჯარია მოსკოვისათვის ყველა ქვეყნის კომპარტი. ეს არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს. პირიქით. კომპარტიები ამით კიდევაც ამაყობენ.

ნაზისტურ დიქტატურის სისუსტე სწორედ იმაში იყო, რომ არც ერთ მის ვრწი მას არ ქონდა სიმპატიები. ის ამთლიანებადა ერს მის საწინააღმდეგო ბრძოლაში. პიტლერს შეეძლო დროებით დაეპყრო რომელიმე ერი, გზა და გზა მოსკოვის რეჟიმი წაექცია, მაგრამ მისი დროშა—ერთი ერის (გერმანიის) ყველა სხვა ერებზე ბატონობისა, ეს პრიმიტიული, ნიღბ ახდელი პირუტყვეული ფორმა დიქტატურისა დიდხანს ვერ «დაამშვენებდა» კაცობრიობას.

სულ სხვა ამბავია მოსკოვის დიქტატურა. იგი ევლინება სამყაროს ერთა და მშრომელთა თავისუფლების დროშით. საპიროსა დიდი დრო და მწარე გამოცდილება, რომ დაცდილი ხელით ავებულ მიხანსცენას სინამდვილემ ფარდა ახადოს და გამოჩნდეს ამ უდიდესი საკაცობრიო ავანტიურის ნამდვილი სახე.

მანამ კი ჩვენ ვართ მოწმენი შორეულ აღმოსავლეთში ოთხას მილიონიანი ჩინეთის აგორების. როდის და ვინ ჩააყენებს კალაპოტში ამ აზვირთებულ ტალღებს? ჩინეთის გვერდით მოძრაობს კორეია. სდუმს ოკუპაციის ქვეშ 70 მილიონიანი იაპონია. არავინ არ იცის სანამ ვასტანს დუმილი ამ აზვირთ ფანატისმით გაქლენთილ მისტიურ ერისა. ომი ინდონეზიაში, ამბოხება მალეზიაში, ბრძოლები ბირმანიაში, დაუსრულებელი სისხლის ღვრა ინდოჩინეთში...

ასეთივე სურათია შუა და მცირე აზიაში. დასავლეთმა აქაც ვერ შესძლო ძველი პოზიციების შენარჩუნება. ირანი, ირაკი, ტრანსიორდანი, იზრაელი, ეგვიპტე, ყველგან ბობოქრობს სტიქია; ყველგან აიწყვიტა ასი წლებით დამბულმა ძალებმა. ძველმა სისტემამ აღმოსავლეთის ხალხთა ექსპლოატაციისა დრო მოჰამა და ისტორიას ბარდება. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ლონდონის, პარიზის და ვაშინგტონის ადგილი მოსკოვმა დაიპიროს, ჯადოქარის მარცხი; მის მიერ გამოწვეული შავ ბნელ ძალთა მსხვერპლი რომ ვახდა, ხშირად მეორდება; შესაძლოა მომავალში წითელი საფრთხე ყვითელმა საფრთხემ შესცვალოს; მაგრამ ყოველივე ეს მომავალის საქმეა. ჩვენ კი დღევანდელ მდგომარეობას ვაფასებთ და ამიტომ



უნდა აღვნიშნოთ, რომ ახლანდელი უმრავლესობის ადამიანთა მსახლის დიდი მარაგი—უკვე არ არსებობს.

გადავხედოთ ესლა ვეროპას. მისი აღმოსავლეთის კუთხე—ბალტიიდან მოყოლებული ოსმალეთამდე—რკინის ფარდის უკან მომწყვედელი, მოსკოვის ტყვეობაშია. ზედმეტია ასეთი მდგომარეობის მნიშვნელობაზე ლაპარაკი. მარტო დუნაის დაკარგვა რათ უღიროს დასავლეთს! ერთადერთი შავი წერტილი მოსკოვისათვის ბალკანეთში—ეს ტიტოს განდგომაა. გარეშე მისი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობისა—ეს ფაქტი სხვაფორივითაც დიდად სიმპტომატიურია.

ვეროპის მდგომარეობას რომ დაუბრუნდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ უდავოთაა აღიარებული: ვეროპის ხალხთა ფედერაცია, როგორც საერთაშორისო კრიზისის დასაძლევ სავალეება და ამ ფედერაციის აუცილებელ ელემენტათ მოწოდებული კი გერმანიაა. ჩერჩილის ციურების ცნობილი სიტყვა კაცობრიობის ხსნასამიდეის განხორციელებას უმორჩილებს. და თუ არსებობდა ეს აზრი საყოველთაოდ განიარებულა, სიმძლის წყარო მის პრაქტიკულ განხორციელებაშია. ომმა მოსპო არა მარტო ჰიტლერი და მისი რეჟიმი, მან მიწასთან გაასწორა ნივთიერად, პოლიტიკურად და მორალურად თვით გერმანია. ოთხი წლის ოკუპაციამ მდგომარეობა ამ მხრივ უფრო გააუარესა<sup>\*)</sup>. სამწუხაროთ არა მარტო ორად, თუ მივიღებთ მხედველობაში დასავლეთელ მოკავშირეთა უთანხმოებას. სრული გასაგებია საფრანგეთის «რეზერვები» გერმანიის საკითხში. პირველი დიდი ომის მწარე გამოცდილებამ მწარე გაკვეთილი მისცა საფრანგეთს. ვერსალის ზავი და ინგლისის სისტემატიური საფრანგეთის საწინააღმდეგო ოპოზიცია, სრულებით არ უწყობს ხელს დღევანდელ მოკავშირეთა ჰარმონიულ განწყობილებას. ამ დროს კი მოსკოვი ჩვეულებრივი სისწრაფით წინასწარ დაგეგმილ ზრახვებს ცხოვრებაში ატარებს.

ცხადია, რომ მოსკოვის ანგარიშების განაღდება მარტო

\*) «რეჟიმი, რომელმაც გაპყო გერმანია 1945 წ. ოთხს სხვადასხვა ზონათ, საშინლათ გააუარესა მდგომარეობა. ამის მიზეზი მოკავშირეთა ანტაგონიზმია, რაც დღითი დღე უფრო ხეპრულ (brutal) ხასიათს ღებულობს. რაც უნდა აეცდინათ მშვიდობიანობის დასამყარებლათ, დღეს უკვე ფაქტათ არის გამზადარი. გერმანია და მასთან მთელი ვეროპის კონტინენტი—ორ ნაწილათ არის გაჭრილი». ამ სტრიქონების ავტორი, საფრ. სენატის საგარეო კომისიის თავმჯდომარე, სოლომონ გრიუბანია, «Le Populaire» 8-9 იანვარი 1949.

მაზე არ არის დამოკიდებული: უკანასკნელი სიტყვა ამ ორ ბლოკის ძალთა საბოლოო განწყობილებას ეკუთვნის.

როგორია დასავლეთის შანსები? მის განკარგულებაშია ამერიკის შეერთებული შტატების წარმოდგენილი მატერიალური სიმდიდრე, სამხედრო ტექნიკა, ატომიური ბომბით. ამერიკის გვერდით დგას, თუმცა ომიანობით დაუსტებელი, მაგრამ სახელმწიფოებრივი ტრადიციით, ძლიერი ინგლისი; მას თან მიეობა საფრანგეთი; დღევანდელი იტალიის სიმპატიები დასავლეთის ბლოკისადმი საიდუმლოებას არ წარმოადგენს. ბრიუსელის ხელშეკრულება და ატლანტიკის კავშირი რეალური სამხედრო და პოლიტიკური აპარატია დასავლეთის ხელში. სკანდინავია წინასწარ დიპლომატიურ სამზადისშია კონფლიქტის მოლოდინში; თუ საბერძნეთის შინაური მდგომარეობა არ იძლევა დასავლეთისათვის საკმარისს გარანტიას ხმელთა-შუა ზღვის აღმოსავლეთში, სამაგიეროდ ოსმალეთს შეუძლია აქ გასწიოს დარაჯის როლი.

ტიტოს განდგომა ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ. ამ მოსკოვისათვის დიდი მარცხი ორგვარი მნიშვნელობისაა. ჯერ ერთი ეს «რკინის ფანდის» საგრძნობი გაბზარვაა. მოსკოვი, ადრიატიკის გასავალს მოწყვეტილი, უკვე იტალიას არ საზღვრავს და მეორე, რაც არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, იუგოსლავიის კომპარტიის მოშინაურება, მისი ეროვნული «უკლონიზმი» ეს კი გადამდები სენია. პოლონეთში მისი ბაცილები უკვე სჩანს. შესაძლოა ამან თავი იჩინოს აღმოსავლეთ-ევროპის სხვა ადგილებში და რატომ მართა აღმოსავლეთ-ევროპაში? ასეთია ცხოვრების ლოლიკა, მისი დიალექტიკა. ის ყოველივე დიქტატურაზე უფრო ძლიერია.

ამნაირად გვეჩვენება ჩვენ საერთაშორისო ვითარების სურათი «ცივ ომის» პერიოდში. პრეზიდენტ ტრიუმანის უკანასკნელი განცხადებანი, მარშალის გადადგომა, მოსკოვის მიერ 31 გემის ამერიკისათვის დაბრუნება, კომპარტიების და მათ შორის საფრანგეთის კომპარტიის დაცხრომა, ამ პერიოდის გახანგრძლივების უტყუარი ნიშნებია.

მოვიგონოთ უკანასკნელი თვეები, როცა შეიარაღებული კონფლიქტის საშიშროება კარზე გვადგა. ეს მოგონება გაგვიადვილებს მომხდარ ცვლილებების განზომვას. ევროპის ფრონტზე მწვავე იერიშებს ადგილი არ უნდა ექნეს: კრიზისის ცენტრი შორეულ აღმოსავლეთში გადადის.

შემცდარია აზრი, რომ დრო მოსკოვის სასარგებლოდ მუშაობს. «ცივი ომი» უამრავ ნივთიერ რესურსებს მოითხოვს. ამ მხრივ ამერიკის შესაძლებლობანი განუსაზღვრელია. უბაზრობის გამო მისი სამხედრო ინდუსტრია საზრდოებს და ისაზრდოებს დიდხანს. მაშინ როდესაც მცხოვრებთა ნივთიერი მდგომარეობა დღითი დღე მწვევდება. მართალია ლევენდალური რუსის ხალხის მოთმინება, მაგრამ ამასაც ხომ საზღვარი აქვს. სწორედ აქ არის შეიარაღებულ კონფლიქტის

მთავარი საშიშროება. შინაურ კრიზისის ასაცდენათ მთავრობის სავარაუდო დივერსია ჩვეულებრივი მანიოვრია.

ასე თუ ისე, ომს «ცივი»-ა თუ «ცხელი» ის მოიგებს (თუ მომავალი ომი ხანგრძლივ ანარქიათ და საყოველთაო ხოცვა-ჟლეტათ არ გადაიქცა), ვინც შინ და გარეთ ხალხთა და დაჩაგრულ ერთა ნდობას მოიპოვებს. მომავალი ომი, როგორც უკანასკნელი, იდეოლოგიურ ხასიათის იქნება. პიტლერმა სტალინგრადათან კი არ წააგო ომი, არამედ ომი წაგებული იყო უფრო ადრე, როცა მან ათასობით ჩაბარებულ ტყვეთ ხოცვა დაუწყო და დაკავებულ ტერიტორიაზე მცხოვრებთა ფიზიკურ განადგურებას მიჰყო ხელი.

აშკარაა, რომ კაცობრიობა არ დაიდუღება და ამ საშინელ კრიზისს ისე, როგორც ბევრ სხვა წინანდელთ, გადაიტანს. მაგრამ დღევანდელ გამოცდას შეუძლია დიდი ხნით შეაფერხოს მისი სოციალური და პოლიტიკური განვითარების წინ სვლა.

გაუგონარ ქარიშხალის მოლოდინშია ჩვენი პატარა სამშობლო. რას უმზადებს მას ხვალინდელი დღე? როგორ შეხედება ის მოსალოდნელ ფათარაკს? განა შესაძლოა წარმოვიდგინოთ ქართველი ერის შვილი, სადაც არ უნდა იყვეს ის, მსგავსი აზრები რომ არ უტრიალებდეს თავში და მოსვენებას აძლევდეს მას? ჭეშმარიტად, რომ ჩვენ ერს უდგას მთელი ტრადიციით ყოფნა-არყოფნის საკითხი. მიუხედავად ამისა შორს არის ჩვენგან სასოწარკვეთილება. ამის მთავარი წყარო თვით საქართველოა. მრავალ საუკუნეთა მისმა ისტორიამ მოგვცა განსაკუთრებული სურათი. მოისვენ საქართველოს ირგვლივ დიდი იმპერიები. დავიწყების სქელი ფერფლით მოცულია მისი დამპყრობელთა და გამანადგურებელთა ხსოვნა. საქართველო მუდამ ცოცხლობს და აძლევს კაცობრიობას უტყუარ საბუთებს მისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ცხოველმყოფელობის. დღესაც, მიუხედავად ჯოჯოხეთურ პირობებისა, მისი გამძლეობა არ შესუსტებულა, მისი სული არ მომკვდარა.

ვინც ფიქრობს, რომ დღიდან დაპყრობისა ქართველი ერის მაჯის ცემა შეწყდა და ჩვენი ქვეყანა ეროვნულათ ცარიელი ადგილი გახდა, მას ცხოვრების შეუწყნებელი დუღილის, არც მისი გარდაუვალი კანონების არა გაეგება რა; მისთვის ჩვენი ერის ისტორიაც უცნობია.

ჩვენ კი სწორედ ეს გვინერგავს შეუდრეკელ რწმენას, რომ ქართველი ერი დღესაც, ისე როგორც წარსულში, არავისი ბრმა არ გახდება; რომ ის შორს დაიჭერს თავს ყოველივე სახიფათო სამხედრო კომბინაციებიდან და თავის მოქმედებას მხოლოდ და მხოლოდ საკუთარ ეროვნულ ანგარიშებს დაუმორჩილებს.

მკ. ზემპკორი.



## მიზანი და საშვალებანი

ახალი წლის დამდევს ჩვენი ფიქრები სამშობლოსკენ მი-  
ისწრაფვიან.

იქიდან მოსული ცნობები აშკარად მოწმობენ, თუ რა  
საშინელ ტრაღედიას განიცდის მთელი ხალხი, გარდა მოსკო-  
ვის ერთგულთა, რომელნიც პრივილეგიურ პირობებში იმყო-  
ფებიან. ყოველ-დღიურ სარჩოს მოკლებულთ უფლება არ  
აქვთ ხმა ამოიღონ, თავის გულის ნადები და წყრომა გამოს-  
თქვან. მშრომელთა დიდი ნაწილი იძულებული ხდება თავის  
გადარჩენის მიზნით,—ხელი ისეთ საშვალებას მიჰყოს, რითაც  
იკარგება ადამიანის ღირსება, მისი პიროვნება.

მიუხედავად ჯოჯოხეთურ პირობებისა, ერის სურვილი  
რჩება ურყევი, სურვილი განთავისუფლების გადადის ახალ-  
გაზდობის სულსა და გულში, რაზმავს მათ, ერის სურვილის  
სისრულეში მოსაყვანათ. ამაში ჩვენ ზედმეტათ დავრწმუნდით  
იმ ახალგაზდობასთან კავშირში, რომლის შემთხვევა უკანას-  
კნელ ომმა მოგვცა.

რაზე ვეყრდნობით? რა საშვალებით ვფიქრობთ ჩვენი მიზ-  
ნების განხორციელებას? ამ კითხვაზე კონკრეტიული პასუხის  
გაცემა, ერთი გარკვეული გზის წინასწარ ჩვენება, ან რომელი-  
მე საერთაშორისო ასპარეზზე მოძრავ ძალებთან მიკედლება  
მცდარია და სახიფათო. უმთავრესია ერის მისწრაფება, მი-  
სი სურვილის გამოაშკარავება,—შეუჩერებელი, შეუპოვარი  
ბრძოლით შიგნით და გარეთ მუდმივი პოლიტიკური მოძრა-  
ობით. საკუთარი უფლების განსვენებითა და დაცვით. ვინც  
არ იბრძვის, ვინც არ ითხოვს საკუთარ უფლების აღდგენას,  
თავის დამოუკიდებელ ცხოვრების მოწყობის სურვილს, მას  
არავინ ყურადღებას არ მიაქცევს, არავინ დაეხმარება, არავინ  
ხელს არ გაუწვდის. საკუთარი თავის იმედი ვისაც არ აქვს  
ის გზას ვერ გაიკაფავს, მიზანს ვერ მიაღწევს. მაშასადამე ესაა  
უმთავრესი თავდები ქართველი ერის გამარჯვების, მისი გან-  
თავისუფლების, რადგან მის მოძრავ ძალებს იარაღი არ დაუ-  
ყრიათ და არ დაყრიან მანამ, სანამ საქართველოს დამოუკი-  
დებლობას არ დაუბრუნებენ.

დრო მიდის. პოლიტიკური ვითარებანი იცვლებიან და  
არ შეიძლება არ იცვლებოდეს ბრძოლის ტაქტიკა და მით  
უმეტეს პატარა დაპყრობილ ერის, ხშირად შეიძლება იგი  
იყვეს აქტიური, ხან პასიური, მაგრამ მძაფრი გამკლავების.  
საგარეო მოვლენათა გამოყენება მოსალოდნელია და შესა-  
ძლებელი, თუ მას მომზადებული ერთ ფრონტზე დარაზმული  
შეხვდა ეროვნული ძალები.

30261



ჩვენ ვხედავთ, რომ მეორე საერთაშორისო ომი გათავდა მავრამ მშვიდობიანობის დამყარება შეუძლებელი შეიქნა გამარჯვებულთა ბანაკში, მორიგება გაძნელდა. თანამგზავრთა შორის წითელმა დიქტატურამ თავისი იმპერიალისტური ზრახვები სააშკარაოზე გამოიტანა, ევროპის უილაჯობით ისარგებლა და მოსახლურე ერებზე თავისი გავლენა გაავრცელა, ამით მან დღის სინათლეზე გამოიტანა—შინაური მართველობის სისტემა, იგი უფრო თვალხილული გახადა. მთელი კაცობრიობის წინაშე წარმოსდგა რუსეთი, მცირე ერთა მპყრობელი. ჩვენი ერის ჩაგვრა, მისი დაპყრობა მხოლოდ შორეულ ამბავს წარმოადგენდა და მისდამი დახმარება რამოდენიმე მანუგეშებელ რეზოლიუციების გამოტანით გამოიხატა, დღეს რუსეთის მოსახლურე ერების ბედი რამოდენიმე თ რეალური პოლიტიკის ობიექტი გახდა,—იმ სახელმწიფოთათვის, რომელნიც თავის არსებაში აღიარებენ ეროვნულ და ადამიანურ უფლებების დაცვას. ამ მხრივ დემოკრატიულ ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი ბეჭდვითი თუ სიტყვიერი იარაღით კრიტიკულად ეპყრობა საბჭოთა პრეტენზიებს, ფარდას ხდის მოსკოველთა საგარეო პოლიტიკის ნამდვილ განზრახვებს. გარდა ამისა ომისგან მოქანცული და ეკონომიურად დაცემული ერები ცდილობენ წელში გამართვას, ეს გარემოება ცხადია ნიადავს აკლის მოსკოვის ადგილობრივ დაჯგუფებებს, მათი პროპაგანდა ძნელდება, დემოკრატიულ ქვეყნების შიგნიდან აფეთქება არც ისე ადვილი ხდება, მათი ხერხემალი მავრდება. მათი დაპირისპირება მეორე ძალასთან ჯერ-ჯერობით «ცივი ომით» თავდება.

ჩვენთვის დიდ ინტერესს წარმოადგენს ამ დაპირისპირების განვითარება, მომავლის პერსპექტივები. ჩვენი ღრმა სურვილია იმ ძალთა გამარჯვება, რომელნიც ადამიანის უფლების და სოციალურ სამართლიანობის იდეის მატარებელია... მავრამ დღევანდელი დემოკრატიულ ქვეყნების საგარეო პოლიტიკის სფეროდან, სამწუხაროთ, გამორიცხულია ზრუნვა იმ საშინელ წესწყობილების აღგვისათვის, რომელიც დღეს თავზე აზის ასეულ მილიონ მცხოვრებთ და შიგ მოქცეულ მცირე ერებს. ოღონც აქეთ ნუ წამოლევავს ბოლშევიზმის ნიაღვარი, თორემ იქით ჭირსაც წაულია იმათი ბედი, როგორც მოსწრებულად აღნიშნავს ჩვენი ხელმძღვანელი ნ. ჟორდანია «სხვისი ჭირი ღობეს ჩხირი»-ო... დასავლეთის თუ ამერიკის თავდაცვისათვის მზადება იფარგლება რკინის ფარდების აქეთ მოქცეულ მდგომარეობის დაცვით და რუსეთის იმპერიალისტური ტალღების შეჩერების ცდებით. ჩვენ კი ვაწარმოებთ ერის განმათავისუფლებელ ბრძოლას, მაშასადა-

მე ჩვენთვის უმთავრესია და გადამწყვეტი, — იცნონ ჩვენი ისტორიული უფლებების აღდგენისთვის წარმოებულ ბრძოლის სამართლიანობა, ჩვენი ერის დამოუკიდებლობის საპირობება; ვინც წინასწარ, უპირობოთ მოგვიწოდებს, რომელიმე თუნდაც ჩვენთვის პრიციპიალურად მისაღებ ძალას ზურგი გაუმაგრეთ, ის მისდა უნებურად ცდება. წინასწარ თავის ჩადება ვინმეს კალთაში ღირსებას დაუკარგავს ერს, რომელსაც სათხოვარი არაფერი აქვს, მისი ბრძოლა წმინდაა და შესაფერ მომენტში ის თვითონ გამოჩნახავს იმ მაგარ პოზიციებს, რომელნიც უზრუნველყოფენ მის მომავალს. თითოეულ პოლიტიკურ ვითარების გამხირზე, მოძრავ და მომქმედ ძალთა ბრძოლის მიმართებას და ხასიათს იძლევა შექმნილი პოლიტიკური პირობები და შესაძლებლობანი.

ამის საუკეთესო მაჩვენებელია ახლა წარსულში მომხდარი მაგალითი, ომის ატეხა ჩვენთვის არავის უკითხავს, მისი მოსურნე არასოდეს ვყოფილვართ, მით უმეტეს მომავალში იგი მხოლოდ დიდ საშიშროებას უმზადებს ქვეყნიერებას, მაგრამ როცა ქარიშხალი ამოვარდა, მეორე საოკუპაციო ძალა კავკასიის კარებს მიაღება, ჩვენი აზრი და გონება საქართველოს სუვერენობის აღდგენაზე მოქმედებდა...

დღეს ჩვენ ორგანოში დაბეჭდილი სამოქმედო გეგმა მაჩვენებელია იმისი თუ რა ისტორიულ დანიშნულების სიმაღლეზე იდგა ჩვენი მოძრავი ძალა და ვინც პარტიზანული გრძნობით შეპყრობილი არაა, ის უსათუოდ აღიარებს ამ ზომათა სრულ სისწორეს და ჩვენს ზრუნვას საქართველოს სუვერენობის აღდგენის საქმეში.

მომავალში ბრძოლა შეიძლება დარჩეს ხანგრძლივი, მოქმედება რთული, მუშაობა დაბრკოლებებით სავსე — მიზანი რჩება იგივე. — ერის განთავისუფლება და იქ სოციალურ სამართლიანობაზე დამყარებული საზოგადოებრივ ურთიერთობის შექმნა. საშვალეება მისაღებია ისეთი, რომელიც უზრუნველყოფს ერის მომავალს, მისი სხეულის მთლიანობას. თუ მომქმედი ეროვნული ძალები დარაზმული, შეთანხმებული იქნებიან, ისინი ყოველთვის შესძლებენ ამ სწორი გზის გამოჩნახვას და სანაპიროზე გასვლას. ამ მხრივ ჩვენ იმედით უყურებთ მომავალს, რადგან, თუ წარსულში ერის ერთგული შვილი შესაფერ დროს, ერთად მუშაობისთვის თავს იყრიდნენ; შემდგომიც ისინი ამ ნაცად გზას გვერდს ვერ აუხვევენ.

ბ. ხარჯველაძე.

## „კომუნისტური მანიფესტი“

და

### სოციალიზმი.

სწორედ წელს შესრულდა ასი წელიწადი მას შემდეგ, რაც კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა გამოაქვეყნეს ცნობილი „კომუნისტური მანიფესტი“<sup>\*)</sup>. 1848 წელს მათ პირველად მიმართეს კაცობრიობას თავისი სოციალური მოძღვრებით და მის განმანხორციელებელ ძალათ გამოაცხადეს პროლეტარიატი.

ამ ორ აქტს შორის სრულიად ახალია ეს უკანასკნელი, ხოლო პირველი—სოციალიზმის მოძღვრება არსებობდა მათ წინ, მათ დროს და შემდეგაც. მისი ავტორები ცნობილია—სენ სიმონი, ფურიე, ოგენი და მათი მიმდევრები ერთხმად ქადაგებდნენ საზოგადოების სოციალურ გარდაქმნას. მათ მხოლოდ ვერ მიაგნეს ამ დიდი გადატენის ამსრულებელი ძალა. ვერ აღმოაჩინეს ამ საქმისათვის მომწიფებული კლასი და წამოაყენეს სხვადასხვა უტოპიური წინადადებები. მათი აზრით შეძლებულნი, შეგნებულთა წრე, ქველმოქმედთა კრებულები—ერთისიტყვიტ, გაგებული და თავდადებული პიროვნებანი განანხორციელებდნენ სოციალიზმსო. ეს მოძღვრება შემდეგ შეითვისეს რუს ნაოროდენიკებმა მესამოცე წლებში, ხოლო ამ საუკუნის დასაწყისში ლენინმა და მისმა მიმდევარბოლშევიკებმა.

აი ამ უტოპიას, ამ ზეკაცების სოციალიზმს პირველათ შეებრძოლა კარლ მარქსი და მას დაუპირდაპირა კლასიური, პროლეტარული სოციალიზმი, ახალი როგორც მოძღვრებით, ისე ასრულებით. ამ ახალი წყობილების, ახალი რევოლიუციის მეთაურათ გამოაცხადა არა „შეგნებული და თავდადებული რევოლიუციონერები“, არამედ მთელი მუშათა კლასი. ამ დროს ეს კლასი წარმოადგენდა მეტათ მცირე რიცხვს მცხოვრებლებისას. 1850 წლის აწერილობით მთელ ევროპაში რუსეთიანა ირიცნებოდა 266 მილიონი მცხოვრები. ამათ შორის ქალაქთა მოსახლეობა უდრიდა თორმეტ მილიონს. ცხადია, ამ დროს ევროპა წარმოადგენდა აგრარიულ ქვეყანას.

ამნაირათ, „მანიფესტი“ მოუწოდებს მუშათა მცირე რიცხვს გახდეს მეთაური 266 მილიონი მცხოვრებლების და ააწყოს მათი ცხოვრება ახალ სოციალურ საფუძველზე. იყო

<sup>\*)</sup> იხ. ფრანგული თარგმანი მარქსის ქალიშვილის—ლორა ლაფარგის. განხილული და დადასტურებული ფრ. ენგელსის მიერ.



და არის ეს მოწოდება უნიადაგო, გამოგონილი, თუ მას აქვს რეალური, ისტორიული ნიადაგი?

ვინც ცოტადნათ დააკვირდება კაცობრიობის განვითარების ისტორიას ის ნათლად დაინახავს ერთ მუდმივ მოვლენას—საზოგადოების მცირე ნაწილის, ერთი კლასის მეთაურობით მთელი ერის გადაწყობას ახალ სოციალურ და პოლიტიკურ საფუძველზე. ეს პროცესი მოდის უძველესი დროიდან, საგვარეულო, პატრიარქალური საზოგადოების დარღვევიდან, კლასიური საზოგადოების აღორძინებიდან. ყველა დღეს გამჭრალი ხალხთა ცივილიზაცია დაწყებული პიტიტებით, ბაბილონელებით და გათავებული დღევანდელი ბურჟუაზიული საზოგადოებით აწყყა და მომდინარეობს ერთ და იმავე ხაზზე—ერთი კლასის წინამძღოლობით. ამ საერთო მსვლელობას დროებით გამოეთიშენ ელინელები და რომაელები პირველი პერიოდისა, შემოიღეს ხალხის, დემოკრატიის, ბატონობა, მაგრამ ჩქარა იძულებულნი გახდნენ ჩაბრუნებულიყვენ საკაცობრიო კალაპოტში.

მაშასადამე, «მანიფესტი»-ს მიმართვა მცირე რიცხოვანი სამრეწველო მუშათა კლასისათვის უმეთაურეთ მთელ საზოგადოებას აღბეჭდავს კაცობრიობის სავალგზას, მის უკანასკნელ ეტაპს, მოკლებულს ყოველგვარ უტოპიას და გამოვლენებას.

მხოლოდ შემდეგ, დიდი ხნის შემდეგ მოხდა მარქსისტების მიერ ამ დებულებათა დამახინჯება, გადასხვაფერება და მათი განხორციელებისათვის ახალ-ახალი პირობების წამოყენება. მარქსის მთავარი აზრი იცვლება. მოითხოვეს, პირველყოვლისა, პროლეტარიატის მცხოვრებთა უმრავლესობათ გადაქცევა, რაიცა უნდა მოხდეს ინდუსტრიალიზაციის გაძლიერებით, აგრარიულ მცხოვრებთა მოქალაქეებთა გადაქცევით—ფაბრიკა-ზაოდებში სამუშაოთ ჩაბმით—, ერთისი-ტყვით, ის რაც ევროპაში მოხდა და ხდება სტიქიურათ, ბურჟუაზიის წინამძღოლობით, ხოლო რუსეთში შეგნებულათ ბოლშევიკების მეთაურობით. მარქსიზმით გამოაცხადეს ამ ახალ-სოციალისტებმა თავისი საკუთარი აზრი ვითომ რაც უფრო დაჩქარდება მასების პროლეტარიზაცია, მით უფრო მოახლოვდება სოციალიზმის განხორციელება. ამით შეაბრუნეს მთელი ისტორიული მსვლელობა; ერის მეთაურობა და მისი ყოფი-ცხოვრების ახალ ბაზაზე აგება მოითხოვეს მთაუ-რი კლასის მცხოვრებთა უმრავლესობათ გადაქცევასო. რასაკვირვლია, ასეთი აზრი სავსებით გამორიცხულია კომუნისტური მანიფესტიდან. ასეთი გადასხვაფერება არც მომხდარა არასოდეს. რევოლიუციას ახდენს უმცირესობა, შემდეგ მას მისდევს და მხარს უჭერს უმრავლესობა, იმისდაგვარათ, თუ რა თვისების და ნაყოფისაა რევოლიუცია.

მარქსი და ენგელსი სრულიად არ აღიარებდნენ უეჭველათ ყველა ერის პროლეტარიზაციას, აგრარიული ქვეყნების

ინდუსტრიალურ ქვეყნებთან გადაქცევას. სოციალური რევოლუცია მათ მიაჩნდათ შესაძლებლათ ყოველგან, სადაც მუშათა კლასი არსებობს და შეუძლია რევოლიუციის მეთაურობა. ეს აშკარაა მათი წერილებიდან რუს სოციალისტებთან მიწერილი და ამჟამათ გამოქვეყნებული მოსკოვში.

მარქსი სწერს ზასულჩის 1881 წ. «კაპიტალ»-ში მოთავსებული ჩემი ანალიზი არ იძლევა საბუთს არც წინააღმდეგ, არც დასაცავათ რუსული ობშჩინის (მიწის საერთო მფლობელობა). მაგრამ ჩემმა სპეციალურმა გამოკვლევამ შესაფერი მასალების საბუთებით მე დამარწმუნა, რომ ეს ობშჩინა წარმოადგენს საფუძველს რუსეთის აღორძინების სოციალურ ბაზაზე; მხოლოდ რომ ის გახდეს ასეთ საფუძველათ საქიროა პირველყოფლისა ის განთავისუფლდეს ყოველმხრივ მოწოდებულ ცუდი გავლენისაგან და შემდეგ უზრუნველ ეყოს მას ნორმალური პირობები თავისუფალი განვითარების»<sup>\*)</sup>.

ხოლო ამის წინ, 1877 წ., ის სწერდა ჟურნალ «ოტჩენსტვენ. ზაპისკ.»-ს რედაქციას:

«მე შევისწავლე ოფიციალური თუ არაოფიციალური რუსული გამოკვლევები და მივადექი შემდეგ დასკვნას: თუ რუსეთი განაგრძობს მსვლელობას იმ ხაზით, რომლითაც ის მიდის 1861 წლიდან, ის დაკარგავს საუკეთესო შემთხვევას, რაიცა ისტორიამ მიანიჭა ოდესმე რომელიმე ხალხს და მიიღებს კაპიტალისტური განვითარების ყველა საბედისწერო შედეგებს»<sup>\*\*)</sup>.

ამას ადასტურებს ენგელსი 1893 წ. მიწერილ წერილში დანიელსონის მიმართ:

«თუ რუსეთის ეკონომიური გადატრიალება მოხდება იმ დროს, როცა ასეთივე გადატრიალება მოხდება დასავლეთში, ასე რომ ორივე ერთიმეორეს შეავსებენ, ამ შემთხვევაში რუსული მიწათმფლობელობა შესძლებს გახდეს დამწყები იარაღი ახალი საზოგადოებრივი განვითარების; დასავლეთი რომ ჩქარის ნაბიჯით წასულიყო წინ თავის ეკონომიურ განვითარებაში, ჩვენ რომ შეგვძლებოდა დაგვეზღვრა კაპიტალისტური რეჟიმი ათი, ოცი წლის წინ, მაშინ რუსეთს ექნებოდა საკმარისი დრო შეაჩეროს კაპიტალიზმისაკენ მიმავალი საკუთარი ევოლიუცია»<sup>\*\*\*)</sup>. ერთისიტყვით, «კომუნისტური მანიფესტის» ავტორნი სრულიად არ იზიარებენ «მარქსისტების» მთავარ აზროვნებას შესახებ ქვეყნის გაპროლეტარების და მხოლოდ შემდეგ სოციალური რევოლიუციის დაწყებას. ავტორნი, პირიქით, ჩქარიან ადრე დაიწყოს ეს რევოლიუცია დასავლეთში და მას მიემხრონ სხვა ქვეყნები თავისი ეკონომიკის მისთვის შეწყობით.

<sup>\*)</sup> იხ. «პერეპისკა კ. მარკსა ი ფ. ენგელსა ს რუსსკიმი პოლიტიჩესკიმი დეიატელიამი». 1947 წ. გვერდი 242.

<sup>\*\*)</sup> იხ. იქ. გვერდი 178.

<sup>\*\*\*)</sup> იხ. იქ. გვერდი 144—145.

ეს ორი სხვადასხვანაირი გაგება ისტორიული პროცესის მომდინარეობენ ორი სხვადასხვანაირი აზროვნებისაგან. მარქსი და ენგელსი დგანან ძველთაგან გამომუშავებულ პოზიციანზე, ხოლო ახალი მარქსისტები გახდნენ ტყვე ბურჟუაზიული პოლიტიკური აზროვნების, დემოკრატიული პარლამენტარიზმის, სადაც ყველაფერს სწევებს უმრავლესობა, საარჩევნო ბიულეტენები, კენჭობია. აი ეს ახალი პოლიტიკური მეთოდი ვერ შეეერთეს რევოლიუციურ მეთოდთან, მათ შორის ვერ გამოჩანეს კავშირი, ვერ გამოიყენეს ერთმეორის გასაძლიერებლათ. მოხსნეს რევოლიუცია და დაჯდნენ კენჭობიის ამარა.

საკმარისია მოვიყვანოთ და განვიხილოთ «მანიფესტის» მთავარი დებულებანი ნამდვილი მარქსიზმის გასაგებათ.

1. «ბურჟუაზია არსებობს იმ აუცილებლობით, რომ იყოს ჩამბული შრომის იარაღების შეუჩერებელი განახლებაში, რაიცა ნიშნავს განახლებას წარმოების წესების, ყველა სოციალური ურთიერთობის».

თუ ამ თვალსაზრისით მიუდგებით დღევანდელ ბურჟუაზიას დავინახავთ, რომ ის განიცდის დიდ ცვალებადობას. სამრეწველო ბურჟუაზია დაჩრდილულია საფინანსო ბურჟუაზიით, ხოლო სამრეწველო პროლეტარიატი არასამრეწველო დაქირავებული მასებით, რაზედაც მე ვწერდი ამ ათი წლის წინეთ ამ სათაურით: «ჩვენი დროის ვერობა» და რაც დაიბეჭდა ფრანგულათაც. ცხადია, ამ გარამოვებამ წარმოშვა ახალი პრობლემები, ახალი სოციალური ურთიერთობა, რასაც პარლამენტარული სოციალიზმი ვერ ხედავს.

2. «ბურჟუაზიამ დაუქვემდებარა სოფელი ქალაქს, შექმნა უზარმაზარი ქალაქები».

სოციალისტები ამას რაცხვენ დიდ ბედნიერებათ და არ ღებულობენ არავითარ ზომას სოფლის დასაცავათ, ქალაქების თავის კალაპოტში დასამაგრებლათ.

3. «ფეოდალური სოციალური ურთიერთობის ალაგას დამყარდა თავისუფალი კონკურენცია, მისი შესაფერი სოციალური და პოლიტიკური კონსტიტუცია, ბურჟუაზიული კლასის ეკონომიურათ და პოლიტიკურათ გაბატონებით».

დღეს ეს წინანდელი თავისუფალი კონკურენცია აღარ არსებობს, მისი ალაგი დაიჭირა ეტატიზმმა, ე. ი. სახელმწიფოს გაბატონებამ მთელ ეკონომიკაში, ამით ბურჟუაზიის მთავარი საარსებო ძირი მოისპო, მაგრამ არ მოისპო თვით ბურჟუაზიის ბატონობა. რატომ? ერთადერთი მთავარი ანტი-ბურჟუაზიული მიმდინარეობაა სოციალიზმი; მისი მოვალეობა იყო ეს უძირო კლასი გადაეგდო თავისი ტანტიდან და მის ალაგას აეყვანა მთელი ხალხი პროლეტარიატის მეთაურობით. ამის მაგიერ ის კმაყოფილდება წვრილმანი რეფორმისმით, შეკეთება-შემოკეთებით, წყალზე ფეხით გაჩერებით, რის მოწამე ჩვენ ყოველდღე ვართ.

4. «წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მრეწველნი და ვაჭრები, წვრილი რანტიები, ხელოსნები და გლეხები—ყველა ებრძვის ბურჟუაზიას თავის არსების შესანახავათ, როგორც საშუალო კლასების. ეს კლასები მაშასადამე არ არიან რევოლიუციონერები, არიან კონსერვატორები, კიდევ მეტი არიან რეაქციონერები, ვინაიდან ეძებენ ისტორიის მსვლელობა შეებრუნონ უკუღმა. ისინი ხდებიან რევოლიუციონერები—მიშით არ ჩავარდენ პროლეტარიატში. ამ შემთხვევაში ისინი იცავენ არა ახლანდელ ინტერესებს, არამედ მომავალს და მით დგებიან პროლეტარიატის თვალთახედვის ნიდავზე».

ეს არის თავისუფალი კონკურენციის აუცილებელი შედეგი. მაშასადამე, რაც უფრო ჩქარა მოისპობა ბურჟუაზიის ასეთი მუშაობის საფუძველი, მით უფრო წვრილი მესაკუთრენი გადარჩებიან და თავის მცირე ქონებას შეინახვენ. სოციალური რევოლიუცია მათი ხსნაა. ასეთი დასკვნა არ გააკეთეს თანამედროვე სოციალისტებმა. პირიქით, რაც უფრო მათ დაეკარგებათ წვრილი საკუთრება და განდებიან ბოგანოთ, მით უფრო მიუახლოვდებიან სოციალიზმსო. გამოდის რომ ბურჟუაზიული ცარკვაგლეჯა დიდი ბედნიერებაა კაპობრიობისათვის. ამიტომ არც ერთი სოციალისტური პარტია არ იცავს წვრილ მესაკუთრეთ. რომ ამ გზით ისინი დაუკავშირონ პროლეტარიატს. დასაღუპავ გეზზე ზრუნვა დროს დაკარგვააო. ძველი აგრარიული პროგრამები იქმნა შეცვლილი და მით ალავას წამოყენებული ახალის—შექმნა ოფისების გლეხის ნამუშიერის მაღალ ფასებში გასაყიდათ. რატომ? იმიტომ, რომ გლეხს მიეცეს საშუალება გადაიხადოს ბანკების ვალები და სახელმწიფოს გადასახადები. პირველის გაუქმება, მეორის შემცირება არცერთ პროგრამაში არ არის მოხსენებული. ლეონ ბლუმის მთავრობამ ბანკების და ბირჟის კონტროლის შემოღებაც ვერ გაბედა.

5. «პროლეტარიატი თავის ბატონობის ბაზას ამყარებს ბურჟუაზიის ძალით დამხობაზე».

ამ დებულებას აღარ იზიარებენ თანამედროვე სოციალისტები და მათი ინტერნაციონალი. რაკი აიღეს რეფორმისტული ხაზი, ბურჟუაზიის დაძლევა პარლამენტარული ბრძოლით და არა ძალით, რევოლიუციით, ცხადია, ამით დაუპირდაპირდენ ამკარათ მარქსიზმს.

რას ნიშნავს სოციალისტური რევოლიუცია აქვს გარკვეული ენგელს ერთ თავის წერილში, მიწერილი 1875 წ. ლავროვისათვის. ის სწერს:

«მწარმოებელი კლასი ართმევს ხელმძღვანელობას წარმოების და განაწილების მეთაურ კლასს, რომელსაც ეს ხელმძღვანელობა ქონდა დღევანდლამდე და მისი გაგრძელება აღარ ძალუძს. ეს იქნება სოციალური რევოლიუცია» \*).

\* ) იხ. იქ. გვერდი 172.



და სწორედ ახლა გახდა აშკარათ, რომ ბურჟუაზიას აღარ ძალუძს წარმოების და განაწილების მეთაურობა, გაგრძელება. ხოლო მისი შემცველი არაინი გამოჩნდა. სოციალისტები კმაყოფილდებიან გაუთავებელი ლაპარაკით.

6. «კომუნისტების (სოციალისტების) პირდაპირი მიზანია იგივე, რაც პროლეტარიატის ყველა დაჯგუფებების—ორგანიზაცია პროლეტარიატის კლასიურ პარტიათ, დამხობა ბურჟუაზიის ბატონობის, დაპყრობა პოლიტიკური ძალაუფლების პროლეტარიატის მიერ».

აი ესეც, როგორც მეხუთე მუხლი, პირდაპირ ეწინააღმდეგება ორივე სოციალიზმს—დასავლეთის რეფორმიზმს და აღმოსავლეთის—რუსეთის—ლენინურ თეორიას—მეთაურობა და ბატონობა რევოლუციურ ინტელიგენციის. ორივე შემთხვევაში რევოლუციური პროლეტარიატი გარდაიქმნება, გადაარცხულია მათ სახმარ და საბატონო მასალათ.

7. «კაპიტალი არის კოლექტიური ნაყოფი; მისი ჩადება საქმიანობაში შეიძლება მხოლოდ საზოგადოების მრავალწევრთა შეერთებული ძალდონით. კაპიტალი არ არის პირადი ძალა, ის არის სოციალური ძალა».

ამ მუხლს ესაუბრება განმარტება. კაპიტალი არის ის ფულის თანხები, რომელიც იდება მუშაობაში. ხოლო ეს თანხები მოდის მთელი ერისაგან; ხალხი მუშაობს, მომჭირნეობს, ფულს აგროვებს გაუჩირვების დროისათვის და ინახავს ბანკებში, ე. ი. გროვდება ფინანსისტების ხელში და აქედან ეძლევა სესხათ მრეწველთ და ვაჭართ, რომელნიც იგებენ დიდ თანხებს. ხოლო ფულის პატრონთ გადაუგდებენ მცირე პროცენტებს ოფიციალური კურსის მიხედვით. მაგ. საფრანგეთში ითვლება კრედიტის უდიდეს დაწესებულებათ—ექსპი ბანკი, აქ ითვლებოდა ხალხის მიერ მიბარებული 1919 წ. 16 მილიარდი, ხოლო 1929 წ. 41 მილიარდი, ამავე დროს თვით ბანკებში სხვა კლასების თანხები ითვლებოდა ერთი მილიარდი 621 მილიონი და სამი მილიარდი 920 მილიონი. ე. ი. თვით კაპიტალისტების თანხები ითვლებოდა კერძო პირებთან შედარებით 16 ჯერ ნაკლები, შემდეგ 38 ჯერ ნაკლები. ე. ი. ხალხის მომჭირნეობა გახდა ბანკების მთავარი საბრუნავი კაპიტალი<sup>1)</sup>. აქედან დაიბადა ახალი პრობლემა: ამ კერძო პირთა თანხების დაგროვება და ამუშავება ხდებოდა თვით საზოგადოების, თვით ერის მიერ, ერის სასარგებლოთ. ამ მხრით ვერც ერთმა სოციალისტურ მთავრობამ თუ პარტიამ ვერავითარი ნაბიჯი ვერ გადადგა.

8. «აქედან, როცა კაპიტალი გადასხვაფერდება საერთო საკუთრებათ, რაიცა ეკუთვნის საზოგადოების ყველა წევრთ, ეს არ ნიშნავს პირადი საკუთრების გადაქცევას სოციალისტურ საკუთრებათ. აქ მხოლოდ სხვაფერდება საკუთრების სოციალური თვისება».

<sup>1)</sup> იხ L'Europe Nouvelle 1932 წ. (№ 622).

რაკი კაპიტალი, ფულის თანხები, გამოკრებილია მთელი ერისაგან და ამუშავებული მცირე რიცხვის სასარგებლოთ, ცხადია ეს ამუშავება უნდა ხდებოდეს იმავე ერის მიერ და არა წართმევა წერილი თანხების მეპატრონეთათვის. კონფისკაცია ხდება ყველა უძრავ-მოძრავი საწარმოო იარაღების, ხოლო მათ ასამუშავებლათ საქირთ თანხები გროვდება თვით ხალხისაგან—წერილი მსესხებლებისაგან, საზოგადოების მეთაურობით და პასუხისმგებლობით. მხოლოდ შემდეგ პერიოდში, როცა ფულის ტრიალი მოისპობა კაპიტალის დაგროვება და გამოყენება წარმოებს ახალი წესით. რაც შეეხება პირადი შრომის იარაღებს—საკუთრებას გლეხის და ხელოსნის—ჩება ხელშეუხებელი და პოულობს თავის ადგილს საერთო სისტემაში. ხდება ლიკვიდაცია ბურჟუაზიული საკუთრების, სოციალური კაპიტალის მითვისება კერძო პირთა მიერ და არა ლიკვიდაცია ყველანაირი საკუთრების. სწორედ ამ გზაზე ვმუშაობდით ჩვენ დამოუკიდებელ საქართველოში.

რანაირათ ესმოდა სოციალური რევოლიუცია ნათლათ სჩანს 1847 წ. მარქს-ენგელსის მიერ გამოცემულ ჟურნალიდან, რასაც ეწოდება «კომუნისტური თვიური გამოცემა» (Kommunistische Zeitschrift). გამოვიდა კი მხოლოდ ერთი ნომერი. აქ ვკითხულობთ:

«ჩვენ არ ვართ ის კომუნისტები, რომელთაც გონიათ გამარჯვებული რევოლიუციიდან დაუყოვნებლივ შემოვიღებთ ქონების საერთო საკუთრებას, როგორც სასწაულებას. ჩვენ ვიცით, რომ კაცობრიობა არ უხტება, არამედ მიდის ნაბიჯ-ნაბიჯებით. ჩვენ არ შეგვიძლია გადავიდეთ რამდენიმე დღეში ერთი არაპარმონიული საზოგადოებიდან მეორე პარმონიულ საზოგადოებაში. ამისათვის საჭიროა პერიოდული გადაქცევის, გრძელი თუ მოკლე ვადით, რაც დამოკიდებულია გარამოებებზე. კერძო საკუთრების გადაქცევა საზოგადო საკუთრებათ შეიძლება მხოლოდ ნელ-ნელა.

«ჩვენ არ ვართ ის კომუნისტები, რომელთაც სურთ მოსპონ პირადი თავისუფლება და გადააქციონ ქვეყანა დიდ ყაზარმათ ანუ დიდ სახელოსნოთ.» არიან კომუნისტები, რომელნიც ასე ფიქრობენ, სურთ მოსპონ პირადი თავისუფლება, რაც ვითომ, მათი აზრით, უხსნის გზას პარმონიული საზოგადოებისაკენ; ჩვენ არ გვსურს ვიყიდოთ თანასწორობა თავისუფლების ფასით. ჩვენ ვართ დარწმუნებული, რომ არც ერთ საზოგადოებაში არ შეიძლება იყოს პირადი თავისუფლება ისე დიდი, როგორც კომუნისტურში» (ლორა, გვ. 301).

9. «სხვადასხვა პრალეტარიატის საერთო მოქმედება, ყოველ შემთხვევაში ცივილიზაციის ქვეყნებში, არის უპირველესი პირობა მათი ემანსიპაციისა».

დებულება მართლა ინტერნაციონალური სულის, მაგრამ სინამდვილეში არ ასრულდა. სწორედ ამ დრომას შეაბ-

რუნა ზურგი თანამედროვე სოციალიზმმა. მისი დროშა გახდა—შინ მოკალათება, «წმინდა ეგონიმი», როგორც ეს განაცხადა ერთხელ ბელგიის სოციალისტმა სპაკმა, ე. ი. მთელი თავისი მუშაობის თავის ტერიტორიით განსაზღვრა. ამ კარჩაკეტილობით მარქსის მთელი ჰუმანიზმი უარყვეს და მით ამოავდეს «უპირველესი პირობა პროლეტარიატის ემანსიპაციისა».

10. «პროლეტარიატი გამოიყენებს თავის პოლიტიკურ უაღრესობას ბურჟუაზიისათვის ნელნელა ჩამოსართმევად მთელი კაპიტალის, თავის მოსაყრელათ წარმოების ყველა იარაღების სახელმწიფოს ხელში».

აქ მოცემულია რევოლიუციის მიზანი და მეთოდი. კაპიტალი ერთმევა ბურჟუაზიას და არა სხვა წვრილ კლასებს, ერთმევა არა ერთად, არამედ თანდათან, რომ ამ საშუალებით ძველი საწარმოო წესები შეიცვალოს ახალით უკრიზისოთ, ქაოსის და შიმშილობის თავიდან აცილებით. ბურჟუაზიას ერთმევა არა ყოველნაირი ქონება, არამედ საწარმოო იარაღები, რაიცა გადაეცემა პროლეტარიატის სახელმწიფო მართველობას, მუშათა ხელისუფლებას. ეს არის რევოლიუციის პირველი ეტაპი. აქაც საჭიროა ზომიერების დაცვა, რაიცა აშკარაა შემდეგი დებულებიდან:

11. «ეს ზომები იქნება, რასაკვირელია, სხვადასხვანაირი სხვადასხვა ქვეყანაში. მხოლოდ ყველაზე უფრო წინწაწეულ ქვეყანაში შეიძლება საერთოთ მიღებულ იქნას შემდეგი ზომები».

ესე იგი, სოციალური რევოლიუცია ხდება იქ, სადაც არსებობს პროლეტარიატი, ხოლო მისი გატარება წარმოებს ქვეყნის მდგომარეობის მიხედვით და არა ყოველგან ერთნაირათ.

თვითუფლ ერს აქვს თავისი საკუთარი ისტორია, თავისი აწყობილი ეკონომიკა, პოლიტიკა და პსიქიკა, რასაც უნდა შეუფარდდეს რევოლიუციის მსვლელობა. საერთო ზომები შეიძლება იქნას მიღებული «ყველაზე უფრო წინ წაწეულ ქვეყანაში», ესე იგი, სამრეწველო ერებში. რა ზომებია ეს?

12:

ა) «ექსპროპრიაცია მამულის საკუთრების და კონფისკაცია მიწის რენტის სახელმწიფოს სასარგებლოთ».

ეს ეხება, რასაკვირელია, არა წვრილ მესაკუთრეთ, რომელთაც არავითარი რენტა არ აქვთ თავისი მიწისაგან, არამედ მსხვილ მემამულეთ, ბურჟუაზიულ მესაკუთრეთ, რომელნიც ცხოვრობენ მამულის შემოსავლით—რენტით. როგორ მოაწყოს სახელმწიფომ ამ მამულების დამუშავება—ამაზე შემდეგ.

ბ) «გადასახადი ძლიერ პროგრესიული».

ეს ეხება იმავე ბურჟუაზიას, რომელსაც გარდა საწარმოო იარაღებისა და მამულებისა კიდევ რჩება საკმაო ქონება.

გ) «გაუქმება მემკვიდრეობისა».

ეს აადვილებს სახელმწიფოს ხელში გადასვლას იმ ქონების, რომელიც კიდევ შერჩა ბურჟუაზიას.

დ) «კონფისკაცია საკუთრების ყველა ემიგრანტების და აჯანყებულების».

ცხადია, მთელი ქონება ჩამოერთმევა მხოლოდ მებრძოლ კონტრ-რევოლუციონერებს და არა მთელ მოსახლეობას. თვით ბურჟუაზიასაც კი რჩება ქონება, გარდა საწარმოვო იარაღებისა.

ე) «ცენტრალიზაცია კრედიტის სახელმწიფოს ხელში ერთი ნაციონალური ბანკის საშუალებით და სრული მონოპოლიით».

ამ ზომების მიღება შესაძლებელია ბურჟუაზიულ წყობილებაშიაც. დღეს ამას მოითხოვენ მრავალი ფინანსისტები და ამ ნიადაგზე ებრძვიან ლიბერალებს. საერთოდ, ფინანსიური კაპიტალის ბატონობას არ ეწინააღმდეგება კრედიტის ნაციონალიზაცია, თუმცა სოციალისტურმა მთავრობამ ვერსად ვერ გაბედა ამ რეფორმის განხორციელება.

ვ) «ცენტრალიზაცია სახელმწიფოს ხელში ტრანსპორტის ყველა საშუალებების».

ეს ახლაც სრულდება. უკანასკნელი სამი რეფორმა სავსებით თავსდება კაპიტალიზმის ფარგლებში.

ზ) «გადიდება ნაციონალური მანუფაქტურის და წარმოების იარაღების; დამუშავება უყი მიწების; გაუმჯობესობა დამუშავებული მიწების თანხმით ერთი საერთო სისტემისა».

ეს მუხლი საყურადღებოა მეურნეობის პირველ რიგში წამოყენებით; შრომის ამ დარგს ექცევა დიდი ყურადღება, მეტი ვინემ სამრეწველო დარგს. და ეს არც გასაკვირალია; იმ დროს, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ევროპა წარმოადგენდა სამეურნეო ქვეყანას, სადაც მარქსი ქადაგებდა სოციალურ რევოლუციას და არა მის გადადებას მასების გაპროლეტარებამდე, როგორც შემდეგ «მარქსისტებმა» თავის დროშათ დასახეს. სტიქიური ინდუსტრიალიზაცია, ქალაქთა გაბატონება, სოფელთა დაჩაგვრა ავტორს მიაჩნდა დიდ უბედურობათ, რაიცა ნათელია შემდეგი მუხლიდან.

პ) «სამეურნეო და სამრეწველო შრომის გათანასწორება, რის მიზანი უნდა იყოს მოსპობა განსხვავების ქალაქს და სოფელს შორის».

ამჟამად, სოფლის გათანასწორება ქალაქთან პირდაპირ მოთხოვნილია. სოფლის ჯაქალაქება, ქალაქის გასოფლება, ერთი მთლიანი ნაციონალური ეკონომიის შექმნა საერთო კულტურით, ცივილიზაციით, ფსიქოლოგიით—აი პროგრამა ნამდვილი მარქსიზმის. ევროპის სოციალისტები სავსებით დაშორდნენ ამ გზას, აყვეს ლიბერალებს, აღვირახსნილ კაპიტალისტებს და მომკეს შესაფერი ნაყოფი—ცივილიზაციის კრიზისი.



ასეთია «კომუნისტური მანიფესტის» სოციალური ზომები, რაც არაფრით არ გავს თანამედროვე სოციალისტების ასეთსავე ზომებს. შემდეგ მოდის საერთო დასკვნები.

13. «რაკი ერთხელ კლასთა წინააღმდეგობა განვითარების მსვლელობაში გაქრება და მთელი წარმოება პიროვნებათა ასოციაციათა ხელში გადავა, სახელმწიფო მართველობა კარგავს თავის პოლიტიკურ ხასიათს».

ესე იგი, როცა სოციალიზაცია დასრულდება მთავრობის აპარატები ხდება ზედმეტი, პოლიტიკური ძალით იძულება საჭირო აღარ იქნება; მთელ ნაციონალურ ქონებას ეპატრონებიან და ავითარებენ თავისუფალ მოქალაქეთა ამხანაგობანი. მუშათა სახელმწიფო ხელისუფლება კმაყოფილდება არსებული ეკონომიკის დაცვით, მისი არსებობის შენახვით.

14. ამნაირათ, «ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების, მისი კლასების და კლასთა წინააღმდეგობათა აღაგას მყარდება ასოციაცია, სადაც თავისუფალი განვითარება თავისუფალი პიროვნების არის პირობა თავისუფალი განვითარების ყველასი».

ცხადია, არა სახელმწიფო ეკონომიკა, არა ეტატიზმი, თუნდაც ის იყოს პროლეტარული, არამედ ასოციაცია, ამხანაგობანი, სადაც თვითეულის თავისუფლება უზრუნველყოფილია, როგორც საფუძველი მთელი საზოგადოების.

მაშასადამე, სოციალური ეკონომიკა, სოციალიზმი გულისხმობს ორ მოვლენას: ეკონომიურ ამხანაგობას და პოლიტიკურ თავისუფლებას, როგორც ორი რგოლი ერთი დანივივე ჯაჭვისა.

ამით თავდება «მანიფესტის» დადებითი ნაწილი; შემდეგ მოდის კრიტიკული ნაწილი ძველი და მისი დროის სოციალისტური მოძღვრების და თეორიებისა. ამ ნაწილში საგულისხმოა ერთი გარამოება: არსად არ არის მოხსენებული ეტატიზმი, ეტატიური სოციალიზმის შესაძლებლობა რაიმე სახით. დაშვებულია მხოლოდ ორში ერთი: ბატონობა ან ბურჟუაზიის, ან პროლეტარიატის. აი ეს აზროვნება არ გამართლდა. გამოჩნდა მესამე გამოსავალი, მართალია დროებითი, მომავალს მოკლებული, მაგრამ შესაძლებელი—ეს მოვლენაა რუსული კომუნისმი. ე. ი. არც ბურჟუაზია, არც პროლეტარიატი, არც გაბატონებული კლასი, არც ხალხი; მათ აღაგას სოციალური დესპოტია მცირე დაჯგუფებებისა.

ასეთ დასკვნას, ასეთ მოვლენას ენგელსი თვლის უტოპიანთ. აი რას სწერდა ის პლენანოვს 1895 წ.

«სრულიად შეუძლებელია ვეკამათოთ რუსების იმ თაობას, რომელსაც ეკუთვნის დანიელსონი და რომელთაც კიდევ სწამთ სტიქიური კომუნისტური დანიშნულება, რითაც ვითომ ნსხვავდება რუსეთი, ჭეშმარიტი წმიდა რუსეთი სხვა ურჯულო ხალხებისაგან»<sup>\*)</sup>.

<sup>\*)</sup> იხ. იქ. გვერდი 282.

და აი ეს უტოპია, ძველი «წმიდა» კომუნისტური რუსეთი აღსდგა და ემუქრება ყველა «ურჯულს» ხალხებს.

ვათავებ—დასკვნა შეიძლება მხოლოდ ერთი, უტყუარი, ნამდვილი. ორივე ინტერნაციონალმა, სოციალისტურმა და რუსულ-კომუნისტურმა დასტოვეს მარქსის მეცნიერული სოციალიზმი და თავი შეაფარეს ერთმა ბურჟუაზიულ დემოკრატიას, მეორემ აღმოსავლეთურ ტირანიას. ამ ორ მოვლენათა შორის ერთი დიდი განსხვავებაა: პირველის გადაყვანა მარქსიზმის ნიადაგზე შესაძლებელია, აუცილებელია, ხოლო მეორის გადაყვანა მისი შინაგან ევოლიუციით შეუძლებელია; არავითარი ტირანია არავითარ გადასხვაფერებას არ ითმენს. ის უნდა დაინგრეს ხალხის რევოლუციით, რომ პროლეტარული სოციალიზმი აღსდგეს.

ნ. ჟორდანიას.

2.8.48 წ.

ლიცვილი.

### წერილი საბართველოდან.

ანტი-საბჭოთა მოძრაობა კავკასიაში და კერძოდ საქართველოში დღითიდღე ძლიერდება. ამის მიზეზია უმთავრესად, შედარებით ომის ხანასთან საცხოვრებელ პირობების გაუარესება და რეპრესიულ ზომების გაძლიერება. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ომის დროს უკეთესი ცხოვრების პირობები არსებობდა. მთავრობამ მაშინ ბევრი დათმობები გაუქვთა მცხოვრებთ, — ეკონომიურ-სოციალურ სფეროში და აგრეთვე შეანელა პოლიციური ძალდატანება. მაგალ. გლეხს მიეცა უფლება მიწის გადამუშავების, რამდენიც და სადაც მოისურვებდა, ამასთანავე შეეძლო გამოეტანა თავისუფალ ბაზარზე თავისი ნაშრომის ნაყოფი. ომის გათავების შემდეგ გლეხს წაერთვა ყველა ეს პრივილეგიები. მას დაუტოვეს მხოლოდ 0,25 ჰექტარის თავისი პირად სარგებლობისთვის. ამ ნიადაგზე გლეხებში იბადება დიდი უკმაყოფილება და გაბოროტება, რაც ხშირად აშკარა «საბოტაჟის» სახეს ღებულობს, ხდება მოსავლის გადამალვა ან მისი სრულიად განადგურება. გასულ წელს (1947 წ.) აღმოსავლეთ საქართველოში მთავრობამ ვერ შესძლო აეკრიფა გათვალისწინებულ გეგმის 20 პროცენტზე მეტი. ამის გამო მთავრობამ სასტიკ რეპრესიებს მიმართა და გაანადგურა «კოლხოზები» სიღნაღის, გორის, თელავის, თბილისის მაზრებში. ასობით დატუსაღებულ იქნენ «კოლხოზების» თავმჯდომარეები და პასუხისმგებელი მუშაკები. «კოლხოზებში» მომუშავენი თავიანთ შრომის ქირას ნატურით ღებულობენ წლის დამლევს, რასაკვირელია, თუ სახელმწიფოს რაიმე გადარჩა ჩაბარების შემდეგ. თვითუფ

რაიონმა განსაზღვრული რაოდენობის მოსავალი უნდა ჩააბაროს მთავრობას, უკანასკნელი თავს არ იწუხებს იმისთვის დარჩა რაიმე თუ არა გლესხს. თუ თვითვე მოიწაზნე მომუშავე მხარე შრომის დღის საფასურათ 300—400 გრამი ხორბალი —ეს უკვე დიდ საქმედ ითვლება. მწვანეულობისა და ხორბლეულობის ჩაბარება ხდება თვით მთავრობის მიერ დაწესებულ ფასებში. მიუხედავად ამ მონურ პირობებისა გლენი მაინც მუშაობს კოლხოზებში, რადგან თუ მან ამაზე უარი სთქვა ის გარდა რისხვისა დაკარგავს პირად სარგებლობაში დატოვებულ 0,25 ჰექტარის ნაწყვეტს და ამით მას სიმშვილით სიკვდილი მოეღოს...

მუშა-მოხამხაგურეთა მდგომარეობა.

მუშა-მოსამსახურეთა ნივთიერი მდგომარეობა საშინელია. მათი თვითური ზღაფასით შეიძლება მხოლოდ 5—6 დღეს თავის გატანა. შავი მუშა თვეში იღებს 200—400 მანეთს. ხელოსანი 500—1000 მანეთს. მაღალი, პრივილეგიურ მდგომარეობაში მყოფნი მოხელენი ღებულობენ ათი-ათასობით თვიურათ. ასეთ უთანასწორო სოციალურ პირობებში ჩავარდნილი, გალატაკებული მშრომელი ნაწილი იძულებულია თავის გადაარჩენის მიზნით კომბინაციებს მიჰყოს ხელი და მრავალ შემთხვევებში ქურდობას, რაც საბოლოოდ ციხით თავდება. საქართველოს ყველა ციხეები დღეს გავსებულია მუშა-მოსამსახურეებით. გარდა ამისა საქართველოში დღეს 25 «განსაკუთრებული ლაგერი» არსებობს, სადაც იძულებითი შრომით მისჯილნი მუშაობენ...

ქურდობა, გაფლანგვა, ქრთამის აღება ისე გახშირდა სახელმწიფო დაწესებულებებში, რომ მოსკოვის მთავრობა იძულებული გახდა გამოეცა დეკრეტი, რომლის ძალით ისჯებიან დაშნაშავენი. მხოლოდ ათი მანეთისა თუ მილიონის გამფლანგველნი რვიდან 25 წლის იძულებითი შრომით. მიუხედავად სისასტიკისა, კერძოდ მექრთამეობა ისე გახშირდა, რომ ქრთამით დღეს საბჭოთა კავშირში ყველაფრის გაკეთება შეიძლება, უამისოდ მატარებლის ბილეთის აღებაც შეუძლებელია. მექრთამეობა, გაფლანგვა, ქურდობა გახდა საარსებო წყარო მცხოვრებთა დიდი ნაწილის. სწორედ ეს გამოუვალი მდგომარეობაა, რომ უპირისპირებს მშრომელ ნაწილს საბჭოთა მთავრობას და მისდამი მტრულ განწყობილებას დღით-დღე აძლიერებს. ხშირად ხდება სამუშაოდან გაქცევა და გაფიცვა. მაგალ. ამ 1948 წლის აპრილში ადგილი ჰქონდა გაფიცვას რკ. გზის მთავარ დეპოში, რაც გამოწვეული იყო სურსათის დაურეგულბობის გამო. ასეთივე მოვლენას ადგილი ჰქონდა საამშენებლო დარგში. მუშები ამას უწოდებენ «სიმშვილის გაფიცვა» ს. ამ ნიადაგზე დათხოვნილი იქნა სამსახურიდან და დაპატიმრებული დეპოს უმთავრესი ინჟინერი კაპანაძე და ორი მისი თანაშემწე. დაპატიმრებულ იქნა მრავალი მუშა. იმის შიშით, რომ ციხეში ჩასვამდენ, ბევრი

სამსახურში არ გამოცხადდა. ისინი შეცვლილი იქნენ ტყვე გერმანელებით.

### პოლიციური ზომები.

რეპრესიები ომის შემდეგ საგრძობლათ გაძლიერდა. რეჟიმის დამცველ ორგანოების უფლებები გაფართოვდა. თუ ომის ხანაში ამ ორგანოთა მოხელენი უზღვრებით მინიცილდებოდნენ იყვნენ, ესლა ისევ უხეშნი, უზრდელნი არიან საბჭოთა მოქალაქეების მიმართ. ხედავს რა ამას ხალხი თავის თავს სთვლის მთავრობისგან მოტყუებულად.

გადაყენებულ და დატყვევებულ იქნა ბერიას მარჯვენა ხელი რაფაეა—საშინაო საქმეთა მინისტრი, მის ადგილას დანიშნეს კაპანაძე. თანამდებობიდან მოხსნეს ბაქრაძე—მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე და მსუბუქ მრეწველობის მინისტრი, ფაღვა—იუსტიციის მინისტრი, ციმაკურიძე—ფინანსთა მინისტრი, სტურუა—საქართველოს უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე, ბუკიაშვილი—ცენ. კომიტეტის მეთავე მდივანი.

ამ წმენდის გამო კომპარტიის უმაღლეს სფეროში სხვა და სხვა ხმები დადის, ყველაზე უფრო სინამდვილესან ახლო ისაა, რომ კომუნისტების ერთმა ჯგუფმა რაფაევას მეთაურობით მოითხოვა ქართულ საქმეებში ავტონომია, ამაზე მოსკოვმა წმენდით უპასუხა და მათ ბრალი დასდო ქართულ «უკლონიზმში». მართლაც და «საქართველოს კომუნისტურ» მთავრობას იმის უფლებაც კი არ აქვს, რომ კვერცხა და სხვა საუბრო საგნებს თავისი გადაწყვეტილებით ფასი დაადევას და საქართველოს ბაზარზე გაიტანოს. ფინანსიურ რეფორმის ნიადაგზე მთელ კავშირში მოხდა წმენდა. იყო მასიური დაჭერები სამეურნეო და ფინანსიურ დაწესებულებებში.

დაჭერილ იქნა ფინანსთა მინისტრი ზვერევი და აგრეთვე ყველა საკავშირო რესპუბლიკების ფინანსთა მინისტრები. მათ დააბრალეს «საბოტაჟობა», სინამდვილეში ფინანსიური რეფორმა იყო მშრომელი მასების აშკარა გაჭურდვა, რადგან ახალი მანეთის ღირებულება გაცილებით ნაკლებია ძველზე. რეფორმამ სრულებით ვერ გამოიღო შესაფერი ნაყოფი და ზვერევი და მისი თანამშრომლები აღმოჩნდნენ მართალი. ომის შემდეგ ჩატარებული წმენდა მოწმობს შინაური მდგომარეობის გაუარესებას და რეჟიმის კედლების რღვევას. დამახასიათებელია, რომ თავის დროზე ამ არაპოპულიარულ რეფორმის გატარება სტალინმა მიანდო ჟდანოვს, ამ უკანასკნელს სწამებდნენ, რომ მას სურდა სტალინის შეცვლა და მისი სიკვდილის შემდეგ მისი თანამშრომლების ბერიას, ვორაშილოვის და სხვების მოცილება. სტალინს სახელი რომ გაეტეხა მისთვის, სწორედ მას მიანდო ამ რეფორმის განხორციელება, რომ შემდეგ ადვილად მოეცილებია ჟდანოვი. ყველა ეს ხმებია, მაგრამ ამას აშკარად ლაპარაკობენ საქართველოს კომპარტიის უმაღლეს წრეებში.



## ჩვენი პოზიცია ომის დროს.

ჩვენ საქართველო დავინახეთ გამოქვეყნება იმ ინსტრუქციის, რომელიც ბიურომ გაუგზავნა საქართველოს, პარტიას და ერს, 1941 წელს.

ის იქნა გაგზავნილი ორი გზით: სტამბოლიდან და გერმანიის გზით საქართველოსაკენ გაგზავნილ ამხანაგების ხელით. ეს უკანასკნელი არ იქნა გაშვებული გერმანელთა მიერ და დაბრუნდენ; ზოგმა კიდევ მოასწრო მისი გადაცემა ქართველ ტყვეების და საქართველოდან გამოსულებისათვის ამბის გასაგებათ. ესენი უკან დაბრუნდენ არაღეგალურათ.

ამ ინსტრუქციის გაგზავნა გამოიწვია ერთმა გარემოებამ. საქართველოში გერმანიიდან ზოგიერთი ქართველები უქადაგებდენ ხალხს აჯანყებას რუსის ჯარის წინააღმდეგ, გზა-გაუხსენით გერმანელთა ჯარსო. ასევე უქადაგებდენ ბერლინიდან უმთავულო რადიო აპარატებით. უნდა აღვნიშნოთ, რომ მათ არ გაყვა ქართველი ხალხი და შეასრულა ჩვენი რჩევა სიტყვასიტყვით. ეს წერილი იქნა წაკითხული პარიჟის ქართველ სოციალ-დემოკრატ. ორგანიზაციის კრებაზე ომის შემდეგ და მას გამოუცხადეს დასტური ერთხმით.

1. ჩვენი დროშა რჩება უცვლელი—საქართველოს სუვერენობის და მისი დემოკრატიული წყობილების აღდგენა.

2. დღევანდელ სამხედრო პირობებში ამ მიზნის მიღწევა მოითხოვს შექმნას მთლიანი ეროვნული ფრონტის, შესაფერდისციპლინას ერში, ყოველივე შინაური შუღლის მოსპობას.

3. თუ გერმანიის ჯარები შემოვიდა საქართველოში და მოსკოვის გავიდა მას შეხვდება წინასწარ შედგენილი დროებითი მთავრობა და მიიღებს მათ როგორც სტუმართ და არა როგორც ბატონთ და ოკუპანტებს. მთავრობა და თემების აპარატები დგება ახლავე საიდუმლოთ და გამოჩნდება ქვეყნის პატრონათ ტერიტორიის დაცლისათანავე რუსების მიერ გერმანელთა შემოსვლამდე.

4. იმ შემთხვევაში თუ მოსკოვმა დასცალა ტერიტორია ნაწილ-ნაწილ, თვითეულ ასეთ დაცლილ მიწა-წყალზე დაუყოვნებლივ უნდა გამოჩნდეს დროებითი მთავრობის წარმომადგენელი და ადგილობრივი თემთა აპარატები, შეხვდებიან გერმანიის ჯარს, გააცნობენ თავისთავს, როგორც ერის წარმომადგენელი და აღუთქვამენ გერმანიის სამხედრო ნაწილებისათვის ნივთიერ დახმარებას მზგავსად 1918 წლისა.

5. ნაციონალური მთავრობის კომპეტენციაში შედის პირველყოვლისა ყველა სამოქალაქო საქმეები, ქვეყნის მოვლა-პატრონობა, მოწესრიგება და აწყობა. ამავე დროს ის შეუდგება თავის საკუთარი ჯარის შექმნას ერის სუვერენობის დასაცავათ.

6. დროებითი მთავრობა და თემთა თვითმართველობანი შედგებიან კოალიციურ საფუძველზე, ყველა ცნობილი პარტიების წარმომადგენლებისაგან, გარდა ბოლშევიკებისა.

7. დროებითი მთავრობის მიზანია ჩამოყალიბდეს მუდმივი მთავრობა, რაიცა შეიძლება საზღვარ-გარეთ მყოფი ნაციონალური მთავრობის დაბრუნებით და მასთან შეთანხმებით.

8. არავითარი აჯანყება, საბოტაჟი, ერის და მისი ნაწილის რაიმე სამხედრო ანტიურაში გადავარდნა არ მოხდეს არც ბოლშევიკების იქ ყოფნის დროს, არც მათი წასვლის შემდეგ.

9. დროებითი მთავრობის რეფორმატორული ნაბიჯებია: გაუქმება იძულებითი კოლმეურნეობის, რომელთა სვებედის გადაწყვეტა ცხადდება მის წევრთა სურვილებზე. ვინც მოისურვებს მიწის დამუშავებას ძველი წესით, ნება აქვს მიიღოს მისი საკუთარი მიწა, რომელიც მას ჩამოართვა ხელისუფლებამ. დარჩენილი მიწები კოლმეურნეობაში მუშავდება ამხანაგური წესით, თანახმათ წევრთა თავისუფალი დედგენილებისა და შეთანხმებისა. ის ინვენტარი და აგრანომიული პუნქტები, რომელიც ემსახურებოდა კოლმეურნეობას, რჩებიან თავის ალაგას, თემის განკარგულებაში და ემსახურება კერძო საამხანაგო და სათემო მეურნეობას.

10. ყველა დანარჩენი უძრავი ქონება, რაც დღეს კომუნისტების განკარგულებაშია, ხოლო დამოუკიდებლობის დროს ნაციის საკუთრებათ გამოცხადდა, გადადის ნაციონალური მთავრობის განკარგულებაში და ის განაგრძობს მის ექსპლოატაციას და პატრონობას.

11. ყველა დღეს არსებული სოციალური დაწესებულებები, რაიცა მართლა ხალხის სასარგებლოთ მუშაობს რჩება თავის ალაგას მეთაურების გამოცვლით.

12. აღდგენილ იქნება კონსტიტუციის ყველა პოლიტიკური მუხლები და ცხადდება თავისუფლება სიტყვის, ბეჭდვის, კრების, სარწმუნოების, კავშირების და სხვა.

1941 წელი.

## ნაციონალური საკითხი.

არცერთ სოციალისტურ პარტიას არ წამოუყენებია ნაციონალური საკითხი ისე ნათლათ, მკაფიოთ და სოციალიზმთან განუყრელათ დაკავშირებით, როგორც ეს მოიმოქმედა საქართველოს სოც.-დემოკრატიულ პარტიამ. ეს იყო ჩვენი არა მხოლოდ თეორია, არამედ პრაქტიკაც, დამოუკიდებელ საქართველოში განხორციელებული. როცა ევროპაში წამოვედით ამავე დროში და ეს გავაცანით სოციალისტურ წრეებს მათ ძალიან უკვირდათ, მათთვის ეს ახალი, უნახავი ხილი იყო, რამაც დავთარი დაუბნია ჩვენებსაც და მათ საჩივარიც კი შეიტანეს ინტერნაციონალში—ვითომ ჩვენ ვიყოთ ნაციონალისტები და არა სოციალისტები. ამ დროს ეს ორი მცნება ქონდათ წარმოდგანილი ორ დაპირდაპირებულ მოვლენათ, რომელთა შორის კავშირი არ არის.

ატყდა ომი, უცხო ძალამ დაიკავა მრავალი დიდი და პატარა სახელმწიფო, დასავლეთმა იგემა ოკუპაცია, გაჩაღდა საიდუმლო ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ, შეიქმნა პარტიზანული რაზმები და მოხდა სრული იდეური გადატეხა ნაციონალურ საკითხში. ახლა მთელი ინტერნაციონალი აზროვნობს და ქადაგებს სწორეთ იმ რიგათ და იმ რწმენით, რომელსაც ქართველი სოციალ-დემოკ. სწერდა და ქადაგებდა ემიგრაციაში. საკმარისია მოვიყვანოთ ლენინ ბლუმის სიტყვა ამ საგანზე, წარმოქმნილი და გამოქვეყნებული სოციალისტურ ორგანოში 1945 წ.

«თავის დიდი შრომით და ბრძოლით, — იწყებს ის, — პროლეტარიატმა მიიღო, დაიპყრო ნელ-ნელა სამშობლო. ჩვენ დღეს ვგრძნობთ, რომ ამ ნაციონალურ პატრიოტიზმს და ჩვენ პარტიულ და კლასიურ ერთობას შორის არ არის შეუთანხმობლობა. ჩვენ ვგრძნობთ აშკარათ, რომ ამ ნაციონალურ პატრიოტიზმს და ჩვენს პატრიოტიზმს შორის იგივე დაურღვეველი კავშირია.

«არ არის პროლეტარიატის თავისუფლება დაყმობილ ხალხში. ადამიანი არ არის თავისუფალი, თუ ყველა ადამიანი არ არის თავისუფალი; არ არსებობს თავისუფალი სამშობლო, თუ სხვა სამშობლო არ არის თავისუფალი. პატრიოტიზმამ გაზარდა, გააცხოველა თვით ჩვენსში შეხედულება საერთაშორისო ადამიანურ და ინტერნაციონალურ ორგანიზაციაზე... მეორე მხრით, განა დღეს არ ვიცით უფრო ნათლათ ის, რაც ამ ექვსი წლის წინეთ არ ვიცოდით და შეგვიძლია ახლა ვთქვათ თავმომწონეთ, რომ ნაციონალური პატრიოტიზმი და კლასთა თანხმობას შორის შესაძლებელია კავშირი. თქვენ, აქ დამსწრენი, კდილობდით საიდუმლო მუშაობაში ოკუპაციის წინააღმდეგ შეგესრულებით ორნაირი დავალება: აღდგენა პარტიის, რომელიც არის პარტია კლასის ზემოთ დახასიათებული მნიშვნელობით და იმავე დროს შესწიროთ მთელი ძალღონე საიდუმლო ბრძოლას ოკუპანტების წინააღმდეგ. თქვენ კარგად გრძნობდით მაშინ, რომ ამ ორ მოვალეობას შორის არა თუ არ არის წინააღმდეგობა, არამედ ეს იყო თქვენსში ორი ფორმა ერთი და იმავე ადამიანური მოვალეობის» (Populaire 29.10.45).

ამ აზრის არის ახლა არა მარტო ფრანგი სოციალისტები, არამედ ყველა დასავლეთ ევროპის სოციალისტური პარტიები და ჯგუფები. ბრძოლა ერთსათვის და მშრომელთა კლასისათვის არის ერთი და იგივე ბრძოლა და, მამასადამე, პატრიოტიზმი, ნაციონალური თავისუფლება მჭიდროთ გადაბმულია სოციალურ საკითხთან, სოციალიზმის განხორციელების შესაძლებლობასთან. ერთისიტყვით, დღეს აღიარებულია საერთო დროშათ ის, რაც ერთად ერთ ქართველ სოციალ-დემოკრატებამ აღმართა ამ ნახევარი საუკუნის წინ.

## რეზოლუცია.

პარტიის ქართველ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციამ მოისმინა რა ნ. ქორდანის მოხსენება მიმდინარე საკითხზე და მასზე კამათი 7 აპრილის 1946 წლის სხდომაზე დაადგინა:

ორგანიზაცია ურყევად დგას საქართველოს სოც. დემ. პარტიის მიერ ამ ნახევარი საუკუნის წინ გამოშუშავებულ და დამოუკიდებელ საქართველოში განხორციელებულ იდეოლოგიურ ნიადაგზე; მისი დროშა იყო, არის და რჩება ერის და ხალხის თავისუფლება, ნაცია და დემოკრატია, რაიცა დღეს აღიარებულია მსოფლიო დროშათ.

ამ ქამათ ერის და დემოკრატიის სუვერენობა გადაიქცა მთელ ქვეყანაზე ყველა ხალხის მოთხოვნილებათ და მის საფუძველზე წარმოებს დიდი და პატარა ერის გადაჯგუფება.

ამ მსოფლიო სავალი გზიდან გამდგარია მხოლოდ ერთი დიდი სახელმწიფო—საბჭოები, სადაც არ არსებობდა და არ არსებობს, არც ერის, არც ხალხის თავისუფლება. დღეს მხოლოდ რუსეთის იმპერიის საზღვრებში არ წარმოებს არავითარი გადაჯგუფება, არავითარი რეფორმა ამ ახალ გზაზე გადასავალათ და მით ის ეთიშება საკაცობრიო ცივილიზაციის თანამედროვე მსვლელობას.

საბჭოთა კავშირის ამ კარჩაკეტილობიდან გამოყვანა, მისი საკაცობრიო ფერხულში შეყვანა და მათ შორის ერთიმეორის ზედგავლენით ორგანიული კავშირის დამყარება მთავარი სამდროვო ამოცანაა.

განხორციელებება ეს გარდაქმნა საშინაო ძალდატანებით თუ საგარეო გავლენით—ეს დროს და გარამობათა საქმეა. აუცილებელია მხოლოდ ერთი: საკაცობრიო ცივილიზაციის მთლიანობის შენახვა, ყველა მისი მოპირდაპირე წყობილების დარღვევა და საერთო ისტორიულ პროცესში ყველა ადამიანთა ჩაბმა.

მხოლოდ თავისუფალ ადამიანებს შეუძლიათ შექმნან ნამდვილი სოციალური ეკონომია, შექმნან ახალი უკლასო საზოგადოება, გადაიყვანონ კაცობრიობა სოციალისტურ ნიადაგზე. ამ გარდაქმნის გზადახილია მხოლოდ ერთი, ყველასათვის სავალდებულო და მისაღები: ერის და ხალხის თავისუფლება. და ამ ხაზით საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოება.



## ნოე ჟორდანიას 80 წლის იუბილე.

18 იანვარს 1948 წ. ს. ს.-დ. მ. პარტიის პარიზის ორგანიზაციის კომიტეტმა, ნოე ჟორდანიას 80 წლის თავის აღსანიშნავათ, მოაწყო ბანკეტი, რომელზედაც დაესწრენ 80 სული. ბანკეტი გახსნა სრულ 14 საათზე კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ჩუბინიძემ. მისასალმებთი სიტყვის შემდეგ—მაგიდის ხელმძღვანელობა მიენდო აკაკი ჩხენკელს. სათამაოდ სიტყვის დასასრულს, ყველამ ერთათ ფეხზე დგომით ეროვნული ჰიმნი «დიდება» იმღერეს.

მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ევგენი გეგუქორმა—სიტყვის დამთავრებისას საზოგადოება დიდ ოვაციას უკეთებს ნ. ჟორდანიას და ევგენის. მომღერალთა გუნდი—მრავალ-ჟამიერს მღერის.

ილაპარაკა ვ. ინჭკირველმა, სიტყვა იფარება ტაშის კვრით და სიმღერით, იუბილიარს ესალმებიან.

წაკითხულ იყო სიტყვა ბ-ნ გიორგი ჟურლის, რომელიც ავთმყოფობის გამო ბანკეტზე ვერ მოვიდა—დიდის მეგობრული გრძნობებით ბ-ნ გიორგიმ გაგვაცნო სხვადასხვა ეპიზოდები თავისუფალ საქართველოს მთავრობის მოქმედების და კერძოდ ნოეს მრავალფეროვან მოღვაწეობიდან—საზოგადოება, დიდი კმაყოფილი დარჩა და ბ-ნ გიორგის დიდი მადლობა და დღეგრძელობა უსურვა.

ამის შემდეგ საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნ ფილიპე შარაძემ.

წაკითხული იყო ენევის პროფესორ ედგარ მილოს წერილი, რომლის მოლოცვას ვათავსებთ ქვემოთ, ფრანგულად.

შემდეგ მგრძნობიარე სიტყვა და ლექსი სთქვა ბ ნ გ. ყიფიანმა.

ამ დროს თვით იუბილიარმა ისურვა ლაპარაკი.

ის კმაყოფილია ფართო საზოგადოების თავის მოყრით—მიუხედავად მისი 80 წლისა ეტყობა—ბრძოლის ენერჯია, მიზნების განხორციელების სურვილი და იმედი დიდია მასში—დასასრულ მან სქვა: «ერთა განთავისუფლების დროშა იყო და არის ქართული დროშა, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ქართველი ხალხი ამ დროშას ხელიდან არ გაუშვებს—ვსვამ ქართველი ერის სადღეგრძელოს, ვუსურვებ მას ახლო მომავალში თავისი მიზნების მიღწევას».

საზოგადოება მსურვალე ტაშისცემით და ოვაციით ხვდება მის სიტყვებს.

გიორგი ერაქემ მოუთხრო საზოგადოებას რამოდენიმე ეპიზოდი თუ რა პატივს სცემენ ნოე ქორდანიას საქართველოში.

წაკითხულ იქნა აპოლონ ორაგველიძის წერილი გადასახლებულთა სახელით.

შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს: მ. ჩუბინიძემ, ვ. ხომერიკმა, გოგი წერეთელმა და ე. გრიგოლაშვილმა.

დასასრულ საზოგადოებას ვმცნო დეპეშები მოსული შვეიცარიიდან ე. მარტენის, ხ. შავიშვილის და მილხის, ლიონის ქართველებიდან და მრავალ სხვა პირადი მეგობრებისაგან, როგორც საფრანგეთიდან ისე უცხოეთიდან.

საზოგადოება დიდი კმაყოფილი დაიშალა.

ტ. წ.

აქვე ვათავსებთ ენევის უნივერსიტეტის პროფესორ ედგარ მილოს წერილს ფრანგულათ.

GENÈVE, le 13 Janvier 1948.

Mon cher grand Ami Noë Jordania,

En ces minutes de jubilé, je vous adresse mes vœux fraternels.

Toute la puissance vitale du merveilleux peuple Georgien s'affirme en votre éclatante jeunesse.

Puissiez-vous avoir un grand nombre d'années devant vous !

Vous êtes un constructeur, un grand constructeur, et l'Humanité, en la grande crise qu'elle traverse, a besoin de constructeurs.

Tous les vœux que, du plus profond de mon cœur je forme pour vous, sont par là même des vœux pour votre pays — un des flambeaux de la civilisation — et pour l'ensemble de la communauté humaine.

A vous, mon grand ami vénéré, à votre famille, à tous vos chers et fidèles amis, tous groupés autour de vous en ce pieux et émouvant hommage, j'adresse mon plus fraternel salut.

Edgard MILHAUD,

Professeur à l'Université de Genève.

## ივანე ჯავახიშვილი

(გარდაიცვალა 1946 წ. ივლისში)

როცა ვანო ჯავახიშვილს ვიგონებ, მე ჩემს თავს ვეკითხები: გავუწიეთ ჩვენ მას ის ზრუნვა და დავანახეთ მას ის თბილი გრძობა, რომლით თვითონ ვანო ეპყრობოდა ყველას, გაჭირვებაში ჩავარდნილს რომ დაინახავდა?

«უგულო კაცი ვერ კაცობს»-ა, ნათქვამია. ვანო ჯავახიშვილის უმთავრესი ღირსება სწორედ მისი გული იყო, გული კარგი კაცის—ადამიანის, რომელიც მუდამ იქ იყო, სადაც გაჭირვება დაისადგურებდა. თვითონ ღარიბს, ბევრ ნივთიერ გასაჭირის და მძიმე ავთმყოფობის გადამტანს ამ ემიგრანტობის დროს, ჩვენ ხშირად ვხედავდით ვანოს მეთაურს, მთხოვნელს და მომკრეებს სხვებისთვის დასახმარებლათ, ავთმყოფის მომვლელს, ჭირში გამამხნეებელს და ერთგულ მჩრეველს. ამ მხრივ მის მიერ გამოჩენილ გრძობის სიღრმე იმდენათ დიდია, რომ სამაგიეროს მიძღვნა შეუძლებელი იყო, თუმცა ავთმყოფობის უკანასკნელ ხანებში ზრუნვა და ზომები მეგობრებს არ დაუკლიათ.

ეს «გული», ეს სიტბო და სიყვარული, მას შეჰქონდა საზოგადო საქმეშიც.

შედარებით შეძლებულ ოჯახის შვილს, უნივერსიტეტის დიპლომით აღჭურვილს, ვანო ჯავახიშვილს შეეძლო იმ დროს თბილი და უზრუნველყოფილ კარიერის გაკეთება; მაგრამ მან კარიერას ხალხის სამსახური არჩია. ვ. ჯავახიშვილის მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული: სტუდენტობის დროს და ერთხანს შემდეგ, რევოლიუციამდის, იგი არარეგალურათ მუშაობდა პარტიაში და მას ესმარებოდა; ხოლო ლეგალურ პირობებსაც ხალხის სამსახურისთვის იყენებდა: ასე, გიმნაზიის მასწავლებელი, იგი არ თაკილობდა პატარა კოლპერატივში ჩაჯდომას და მის წვრილ სავაჭრო საქმეების გაძლოლას საზოგადო ინტერესებისთვის; მას ხომ ეკონომიურ საქმეების პრაქტიკულათ წაყვანის უნარიც ჰქონდა.

რევოლიუციის შემდეგ, ვ. ჯავახიშვილს თავის სამშობლო ხონის ქალაქის თავად იქნა არჩეული, ცოტა ხნის შემდეგ დამფუძნებელ კრების დეპუტატათ, მერე მომარაგების მინისტრის და ბოლოს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგათ იყო მოწვეული. ყოველგან იგი თავის თანამდებობის სიმალეზე იდგა და სინდისიერათ ასრულებდა თავის მოვალეობას.

გულლიას და პირში მთქმელს იმისას, რასაც, ფიქრობდა, ვანოს ბევრი საწყენი შეხვდენია პოლიტიკურ ასპარეზზე; იგი

გაცხარდებოდა, გულს მოიყვანდა, მაგრამ ღვარძლი და შუ-  
რი, უინი და მტრობა შორს იყო მისგან, ეს მის ბუნებას არ  
ეთვისებოდა. მისი სურვილი მუდამ ის იყო, რომ მოპირდა-  
პირესთან კარგ პირად განწყობილებაში დარჩენილიყო და  
სწუხდა, თუ ეს ხანდახან არ ხერხდებოდა. მისი ასეთი საქცი-  
ელი აფაქიზებდა იმ პოზიციას, რომელიც მას სწორათ მიაჩნ-  
და, მოქმედებდა ხოლმე მოწინააღმდეგეზე და ვანოს ირგვლივ  
მეგობრულ ატმოსფერას ინახავდა.

ვანო არ იყო ცარიელი სიტყვების კაცი, მოქადაგე. იგი  
მომქმედი კაცი იყო ყოველთვის. იგი იმ თაობის წარმომად-  
გენელი იყო, რომელმაც პრაქტიკულათ, შეძლებისდაგვარათ,  
ემსახურა ჩვენს ქვეყანას ჯერ თვითმპყრობელობის წინააღმ-  
დეგ ბრძოლაში, შემდეგ დამოუკიდებლობის ხანაში და ბო-  
ლოს ემიგრაციაშიც. გადმოხვეწილი უცხოეთში, ვანო განა-  
გრძნობდა სამშობლოსთვის მუშაობას ისე და იმ სახით, რო-  
გორც ეს მოსახერხებელი იყო: პრესაში, ეროვნულ «ცენტრ-  
ში», პარტიულ ორგანიზაციებში, მუდამ ერთგულათ და თავ-  
დადებულათ.

ვანო ჭავჭავაძის კარგი გული, თავდადებული და სიყვა-  
რულით აღსავსე სამსახური საზოგადო საქმისთვის, მისაბა-  
ძია ახალ თაობისთვის; ძველი თაობა კი, მისი თანამედროვენი  
და თანამებრძოლნი, მისი მეგობრები, მუდამ პატივით და  
სიყვარულით მოიგონებენ ძვირფას ვანოს. ეს მან სავესები  
დაიმსახურა.

ბ. ბ.

## იოსებ სალაყაია

(მისი ლევილში გადმოხვეწების გამოც)

რვა წელიწად ნახევარია რაც იოსებ სალაყაია უღროვოდ  
დაეკარგა მის მახლობლებს და მეგობრებს; რვა წელიწადია,  
რაც მისი ტკბილად მომლიმარე, მაგრამ სევდით აღსავსე სახე  
აღარ გვინახავს... თუ მწარე და აუტანელი იყო მისი დაკარ-  
გვა, არა ნაკლებ მტკივნეული შეიქნა მისი საფლავის სიშორე  
და აი, მისი მეგობრების მეცადინეობით, აწყედან გადმოსვენ-  
ებული, ამიერიდან განისვენებს ლევილის (28 კილ. პარიზი-  
დან) ეგრედ წოდებულ მოძმეთა სასაფლაოზე, სადაც ჩამწკრი-  
ვებული არიან ისინი, რომელთაც, იოსებსავით, მონობაში  
სიცოცხლეს თავისუფლების ძებნაში სიკვდილი არჩიეს, რო-  
მელთა ჩამოთვლას ფურცლები დასჭირდება... ჩვენს წრეში  
იოსებს უსათუოდ განკერძოებული ადგილი ეკავა, მისი სა-  
ზოგადო ცხოვრება მორალის და იდეის მხრით არ ირჩეოდა  
მისი კერძო ცხოვრებიდან, კერძო ცხოვრება მისთვის საშვ-  
ლება იყო, მიზანი კი საერთო ბედნიერება და მისდამი სამსა-  
ხური. ხასიათით მტკიცე და შეუდრეკელი, რაიმე მისისას



ადვილად არ მიიღებდა, მაგრამ თუ კი დათანხმდებოდა ასი პროცენტით შეასრულებდა—თუ რატომ უნდა მის შესაძლებლობას არ აღემატებოდა... ასეთი იყო ის ნორჩი სიყმაწვილიდან, როდესაც მრავალ მოძღვრებათა შორის სოციალიზმი აირჩია, რასაც ის სიკვდილამდე არ დაშორებია—სოციალიზმი მისთვის მოდა არ იყო, როგორც ბევრისათვის, მთელი თავის ცხოვრების შინაარს იმაში ხატავდა—ამ მოძღვრების შეუჩერებელ სამსახურში იყო ის, სენაკში თუ ზუგდიდში, ახალგაზღვრებისას; თბილისში, მოსკოვში თუ უნევეაში, უკვე მომწიფებული ვაჟკაცი; პარიზში თუ ვარშავაში უკვე ხანში შესული, ყველგან, თუნდაც ცოტახნით, რომ დარჩენილიყო, სტოვებდა შთაბეჭდილებას სერიოზულ და საქმიანი მოღვაწისას... მან კარგად იცოდა, რომ სოციალიზმისათვის ბრძოლა ყველანაირად უფრო თავის მიწაწყალზე შეიძლებოდა და აი, მისი ტრაგედია: გაუთავებელი აქ იწყება, მისი მიწა წყალი ვერავალი თავზე დასხმით ხელიდან გამოსტაცეს, ამასთან ერთად მისი იდეალი: დემოკრატიით სოციალიზმის განხორციელება—საერთო ბედნიერების დამყარება, მისი საყვარელი ერის თანასწორ უფლებებით საერთაშორისო ოჯახის წევრად გახდომა—შეურაცხვეს—და ისიც სასოწარკვეთილებამ მოიცილა—ერის დაპყრობას დიდათ განიცდიდა... უწინ მხიარული, საუკეთესო მომავლის იმედებით აღფრთოვანებული, შეუჩერებელი მებრძოლი. დაპყრობის შემდეგ ძვირად ნახავდით მას მხიარულს, თვით ლიმილიც კი ხატავდა მის მწარე განცდებს. მიუხედავად ათეული წლების გასვლისა—ეს განცდები მასში არ შენელებულა!..

იოსები იყო დიდხანს ნაციონალურ მთავრობის წარმომადგენელი ვარშავაში.

ომის დროს 1940 წ. ის გაგზავნილ იქნა, წარმომადგენლად ეროვნულ მთავრობის მიერ, ანექში შეჩიზნულ პოლონეთის მთავრობასთან. არასოდეს არ ამოვა ჩემი მეხსიერებიდან სურათი ჩვენი უკანასკნელი შეხვედრისა: გამზადებული ანექში წასასვლელად, ბარგით ხელში, თავის ბინის კიბეზე ჩამოდიოდა—სახე დაღვრემილი ფეხს ძლივს ადგამდა—გეგონებოდა რომ ყოველ ნაბიჯს თავის ფეხისას ზომავსო, ეტყობოდა მძიმე მისიით იყო დავალებული...

ჩემს შეკითხვაზე—თუ როდის დაბრუნდებითქო—მიპასუხა—ან მალე ან არასოდეს—საუბედუროდ ეს მეორე განხორციელდა! გერმანელები პარიზს მოუახლოვდნენ—პოლონეთის მთავრობა ინგლისში მიდის—იოსები რჩება მარტო—და როდესაც დაინახა, რომ ტვეტონთა ჯარები პარიზს შემოესიენ მის სასოწარკვეთილებას საზღვარი აღარ ქონდა, მისი არსებობა უმიზნოდ მოეჩვენა და სიცოცხლეს ანგარიში გაუწყო. რა, ეს იყო მის ვანცდათა ლოლიკური დასკვნა.

კერძო ცხოვრებაში დაუფასებელი იყო, სათნო, ღმობიერი, მოყვარული, მომხიბლავი—პირველ შეხვედრისთანავე

დაგიპყრობდა ნაზი და სათუთი მოქცევით. გულით კეთილი, სულით მალალი, ჩვენში რომ იტყვიან; დამოკიდებულებაში ანგარიში და სიწვრიმალე არ უყვარდა; უკანასკნელს გაგინა-წილებდა... ერთი სიტყვით, საზოგადო თუ კერძო ცხოვრებაში იოსებ სალაყაიას დაკარგვა დიდი დანაკლისია მთელი ერისათვის.

იმედია ჩვენს ბრძოლას, შიგნით თუ გარეთ, დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ისტორიკოსი აღმოუჩნდება, რომელიც, დარწმუნებული ვარ, სიამოვნებით აღნიშნავს, მრავალ-ტანჯულ ქართველი ერის ბრძოლის ისტორიის ერთ სანაქებო ფურცელს დაწერილს იოსებ სალაყაიადან.

ბ. ახათიანი.

## ს ი ტ უ ვ ა

წარმოდტქმული ნ. ჟორდანიას მიერ  
ვლახა მგელაძის დახატვაგებაზე 1943 წელს.

დავკარგეთ დიდი მოღვაწე, ნიჭიერი, თავდადებული მე-ბრძოლი, დაუღალავი მუშაკი, დავკარგეთ ვლახა მგელაძე.

ის იყო ხალხის შვილი, დაბალი მასებიდან გამოსული. თავისი საკუთარი ნიჭით ადიოდა მალლა-მალლა, ხალხის და ერის სათავეში. ის აერთებდა მალლა მდგომ ინტელიგენციას და დაბლა მდგომ ხალხს, ის იყო მათ შორის მდებარე საშუალო რგოლი. მასში არ იყო თავმომწონეობა, მწვერვალზე გამაგრება, თავის ძალის და ფასის გაბერვა. ის ადიოდა მალლა, მაგრამ ხელს არ უშვებდა დაბლა მდგომთ და ცდილობდა ისინიც მალლა აეყვანა; ის გამოვიდა მისი საშოდან და ვერ წარმოედგინა თავისთავი მის გარეთ, მისგან დამოუკიდებლათ.

ვლახა იყო საუკეთესო მკერმეტყველი, რითაც არავის გაედა, არავის ბაძავდა. მისი ორიგინალობა იხატებოდა ხალხის სულიერი განწყობილების ხალხურ ფორმაში, ხალხურ სიტყვიერებაში გამოხატვა და მსმენელთა წინაშე საკუთარი დროშით წარსდგომა. ის იყო გრძობის კაცი, მაგრამ ამას თან ახლდა გონიერება, აწონვ-დაწონვა და შემდეგ დიდი დაფიქრებისა სალაპარაკოთ გამოსვლა. ის იყო ოპტიმისტი, არსებული წყობილების დანგრევა ქონდა გადაწყვეტილი, რაიცა მას აძლევდა ენერგიას, მხნეობას, დაუღალაობას. ვერავითარი წაგებული მუშაობა მას მხნეობას ვერ უკარგავდა, პესიმისში ვერ გადააჯდებდა, ბრძოლის უნარს და იდეურ აღმაფრენას ვერ მიაკლებდა. აღებულ ხაზში დაეჟებდა, უკან დახევა, განზე გადახევა მისთვის უხილავი, წარმოუდგენელი ამბავი იყო და ამ გზით მას არასოდეს არ უვლია. იყო გაბე-

დული, პირდაპირი ვით შურდული, დამარცხებული გზიდან გამოსავალის მომნახველი, დროში ხელში ბრძოლის გამაგრძელებელი; სასოწარკვეთილება, ეჭვიანობა მას არასოდეს არ ესტუმრებოდა. დამარცხებაში თუ გამარჯვებაში ის ერთნაირი თავაწული იდგა და თავის თანამებრძოლთ შიძახებდა: ადექით, გული არ გაიტეხოთ. დაეჭვება, რაცა იძლევა ენერჯის დაცემას, მან არ იცოდა.

ვლასა მიიწევდა მაღლა-მაღლა თავისივე ფეხებით, თავისივე ნიჭით და გამჭრიახობით: ის არ ეძებდა სხვის კიბეს, სხვის ფეხებს, სხვის დახმარებას ამაღლებისათვის. რაც უფრო დიდ აღფრთოვანებას გამოიწვევდა ხალხში მისი სიტყვა და საქმე, მით უფრო დაბლა დაჯდებოდა, ხალხში ჩაებმებოდა, მასან ცხოვრებას განაგრძობდა. მასში სრულიად არ იყო წყურვილი სახელის მოხვეჭის, თავისთავის გადიდების. რასაც ემსახურებოდა; რასაც აკეთებდა, ეს გამომდინარეობდა მისი ღრმა რწმენისაგან, რწმენის არა მარტო სულიერი, არამედ, ამასთანავე, ხორცის და სისხლის დულილით განსაზღვრული. მის სულსა და გულზე ბატონობდა მისი ბუნება, წინაპართა მიერ გადმოცემული მემკვიდრეობა. ის იყო რაც უნდა ყოფილიყო, სხვანაირი ვერ იქნებოდა.

ვლასას ორატორული ნიჭი არასოდეს არ დაიწვედა მსმენელთა წინაშე მლიქვნელობამდე, მასისადმი თავყვანისცემამდე. ის ამბობდა თავის აზრს და სრულიად არ აინტერესებდა თუ ეს აზრი მსმენელთ ესიამოვნება თუ ეწყინება. ხალხში ის აფასებდა ხალხს და არა ბრბოს. მისი მიზანი იყო ბრბო გადაექცია ხალხათ, ხალხი ერთ, თავის თავის პატრონათ და ბატონათ. მან არ იცოდა სასოწარკვეთილება, არც ერთ დამარცხებაში უიმედობა, ენერჯის დაკლება, ბრძოლის გადადება. მახსოვს, მეტეხის ციხეში, სადაც ერთდღიამდე დროს ჩავსვდეს, ის იყო მეტად მხიარული, ყველას ამხნევებდა და იმედიანობას უნერგავდა. მას არაფრათ არ მიაჩნდა ციხე, დატუსალება, ვადასახლება; ვერავითარი რეპრესია გულს ვერ უტეხდა, თავის საქმეს ვერ მოაშორებდა. მეტეხშიაც კი საქმე დაიწყო—ტუსაღთა გამხნევება, ამომავალი მზის მოახლოვება და გამარჯვებაში არ დაეჭვება. ამისათვის ის მოაცილეს ყველას და ასეირნებდენ მარტო, ინახავდენ სხვებისაგან დაშორებულათ. სადაც უნდა გადაესახლებიათ, ჩქარა უეჭველათ მოიბრუნდა და არაღეგალურ მუშაობას შეუდგებოდა. სადაც უნდა ყოფილიყო—ციხეში თუ ციმბირში, იყო სულით და გულით ქართველ ხალხთან, თავის სამშობლოს ჰაერით სუნთქავდა და პირველ შემთხვევასთანავე სამშობლოში მობრუნდა. ამ თავის ხალხის სიყვარულს ის ხატავდა თავისებურათ, თავისებური სიტყვით და საქმით. ვლასა მგელაძე არავის გავდა, ის იყო ერთი, თავისებური ნიჭით და საქმით, ის იყო უცოლშვილო, მთელი თავის სიყვარულის გრძობები გადაქონდა ხალხზე. ის იყო ღეთის მორწმუნე და სწამდა განგების

ქვეყნათ ბატონობა, ბედისწერის გარდაუვალობა. ის სავსე-  
ბით იზიარებდა რუსთაველის თქმულებას: «რაცა იქნების,  
იქნების, ყველა თათბირი სწორია». ამ რწმენით გულუშიშრათ  
შედიოდა ბრძოლაში, იქნებოდა ის პოლიტიკური, სამხედრო,  
ტერორისტული ითუ რევოლუციონური.

დავკარგეთ დიდი ორიგინალური ამხანაგი, მას მოადგილე  
არ დარჩენია. ვლასა ერთი იყო, მეორე არ გამოჩენილა, არც  
გამოჩნდება.

### მ ე ბ რ ძ ლ ი პ ო ე ტ ი.

(ვუძღვნი საქართველოვთვის წამებულთა სხოვნას)

ბერი ვარ, ან მონაზონი—  
მშვიდობა ვთხოვო უფალსა?!  
ბრძოლის ხმა მინდა გაისმას  
მონის—ჩაგრულის ერთხმადა.

ბრძოლით გაჩენილს, ბრძოლაში  
უნდა ამომხდეს სულია.  
თავისუფლების დროშის ქვეშ  
სიკვდილ-სიცოცხლე ტოლია.

სიკვდილსა სთურგნავს ცხოვრება  
მომავლის გამშუქებელი;  
თვით მკვდარიც ცოცხლად ითვლება  
ბოროტის დამამხოველი.

ხილული ქვეყნის იქითაც  
ბრძოლაა შეუწყვეტელი;  
ამის ნიშანი: სინათლე,  
ჩვენამდე ჩამომწვდომელი.

ცხოვრება ჩვენი ბრძოლაა,  
მე—მის წიაღში შობილი,  
მის ქარიშხალში, ბრუნვაში  
შეზდილი გამოწრთობილი...

მეც ამ ბრძოლითა ვსულდგმულობ  
თბილისში წასვლას მოველი...  
აღზდგეს სამშობლო დიდებით,  
ზეიმს მიეცეს ყოველი!..

თბილისზე შეყვარებულსა  
სიკვდილი არ მწამს,—იცოდე!  
ვერ შემამინებს მტარვალი,  
რაც უნდა ცეცხლზე ვიწოდე.

გარდავიცვლები?.. ვიცოცხლებ!  
ბუნებას შევებრძოლები:  
ვარდად, ზამბახად ამოვალ,  
მზის სხივზე ავყვავილდები!



ტრფობითა დამთვრალ ქალ-ვაქსა  
შორიდან მოვეწონები:

მოვლენ, მომწყვეტენ, დამყნოსვენ...

გულ-მკერდზე დავეკონები.

ხელოვნებისა ტაძარში  
დამდგამენ თაიგულადა,  
სადაც სწავლულნი მსჯელობენ,  
იბრძვიან იდეურადა.

ეს მტკიცე რწმენა, იმედი  
თბილისისაკენ მიმაფრენს;  
სასიხარულო ბრძოლის ხმა  
წყლულს ჰკუთნავს, მკლავებს მიმაგრებს.

ამ ბრძოლას ვუძღერ, ვადიდებ,

რომ გვიახლოვებს დიად დღეს.

გადავხვები, ვაკოცებ,

ვინც რომ თბილისში მიმასწრებს.

ვლასა მგელაძე.

26 მაისი 1942.

### ვ ლ ა დ ი მ ი რ თ უ რ ძ ი ა .

ჩვენ არ შეგვიძლია შეურიგდეთ იმ აზრს, რომ ის გარდა-  
იცვალა, მართალია ხორციელად დაგვშორდა, მაგრამ მისი  
სული მუდამ თავს დასტრიალებს ჩვენ საყვარელ სამშობლო  
საქართველოს. ვლადიმერ თურქიას სიკვდილი, დიდი დანა-  
კლისია არა მარტო ირანის ქართველთა კოლონიისათვის,  
არამედ ჩვენი ერისათვის. იშვიათი ადამიანი, მგრძნობიარე  
გულის პატრონი, გამოჩენილი ექიმი. აქ შეუძლებელია აღწე-  
რა, რა დიდი ღვაწლი მიუძღვის მას კოლონიისათვის. დადგე-  
ბა დრო, როდესაც დაფასდება მისი ღვაწლი. დღეს კი აფო-  
რიაქებულ გონებას არ შეუძლია დალაგებით აღნიშნოს მისი  
ღვაწლი საერთოდ ემიგრაციისათვის.

განსვენებულის სახლის კარები მუდამ ღია იყო სუყვე-  
ლასათვის განურჩევლად ეროვნებისა და მდგომარეობისა.  
ის ყველას ყურადღებით მოუსმენდა და სათანადო დახმარე-  
ბას აღმოუჩენდა რა სახითაც უნდა ყოფილიყო ის. მისი ადა-  
მიანობა საფლავთან დამტკიცდა—ყოველ მხრიდან ქვითინი  
და ტირილი საზარელ სურათს წარმოადგენდა.

სპარსული თქმულება: «როდესაც შენ იბადებოდი, შენ  
ტიროდი, ჩვენ კი ყველა ვიციხოლეთ; იცხოვრე ისე, რომ სი-  
კვდილის დროს შენ იციხოლდე და სხვები შენს გარშემო სტი-  
როდნენ».

სწორედ ასე დაამთავრა თავისი სიცოცხლე განსვენე-  
ბულ ექიმ თურქიამ.

ირანის მადლიერი ერი მგრძნობიარეთ გამოეთხოვა, თა-

ვის ერთადერთ ბავშვების მოსიყვარულე და გამოჩენილ ექიმ თურქიას. არც ერთ ირანის პრესას არ გამოჩენია მისი დასაფლავების დღე და ვრცელი ნეკროლოგი მისი ცხოვრების იყო აღნიშნული ყველა ღირსშესანიშნავ განხეთქში.

მართალია განსვენებული დაიმარხა ირანის მიწაში, მაგრამ ამ მიწამ თბილად ჩაიხუტა გულში საყვარელი ექიმი.

საქართველოს სასახლო შვილმა ირანშიაც დაიმსახურა დიდი პატივი და სიყვარული.

დაობლებული ირანში ქართველთა კოლონია დაგტირის, მუდამ შენი ხსოვნა დარჩება ჩვენს გულში. აწ განისვენე მშვიდად ძვირფასო და დიდო ქართველო.

ირანის ქართველთა კოლონია.

### შალვა სკამოკრაიშვილი.

(დაიბადა 1902 წ. გარდაიცვალა 1949 წ.)

საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციამ, ხანმოკლე ავთმყოფობის შემდეგ, 8 იანვარს, უდროვით დაკარგა თავისი თავმჯდომარე შალვა სკამოკრაიშვილი. მისი ხანმოკლე საზოგადო მოღვაწეობით მან დაიმსახურა პარიზის ქართველოებაში დიდი სიმპატიო თავისი კეთილი გულით, გაჭირვებულ ქართველებისთვის მზრუნველობის აღმოჩენით.

შალიკო ეკუთვნოდა იმ ახალ თაობას, რომელიც ახალ საქართველოს აღსადგენათ იბრძოდა და იბრძვის.

ის იყო ამ ბრძოლის ლაშქარი ერთერთი ჯარისკაცი თავიდანვე, ბავშობიდანვე. შვილი რკინის გზის მუშის, მუშის ოჯახში აღზრდილი და გაზდილი მას ადვილათ ესმოდა სხვისი გაჭირვება და დაბრკოლება. მან თავისი შრომით შეძლო აქ, უცხოეთში, ჯერ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრება და შემდეგ ნაყოფიერათ მისი გამოყენება.

შალიკოს დასაფლავებას დიდალი ქართველობა დაესწრო, ღირსეულად დასაფლავებულ იქნა ლევილის ძმთა სასაფლაოზე. მან დასტოვა დიდი ხსოვნა და პატივისცემა ქართველ საზოგადოებაში.

ტ. წულაძე.

### სპირიდონ კელია.

გასული წლის მაისის 17 პარიზის გარე-უბანში მოულოდნელათ გარდაიცვალა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ლიდერი და საქართველოს დამფუძნებელ კრების წევრი სპირიდონ კელია. განსვენებული პატივსაცემთა ჩვენი პარტიის პარიზის ორგანიზაციამ საფლავზე მიუძღვნა გვირგვინი ცოცხალი ყვავილებისგან.

### სილიზისტრო ჯიბლაძე.

სილვას გარდაცვალების 25 წლის აღსანიშნავათ, 27 აპრილს 1947 წ. პარიზში, პარიზის ს.-დ. მ. პ. ორგანიზაციის კომიტეტმა მოაწყო სამოქალაქო პანაშვიდი. წაკითხულ იქნა მისი მოკლე ბიოგრაფია; მოიგონეს მისი თავდადებული მრავალფეროვანი ნაყოფიერი მუშაობა: ნ. ჟორდანიამ, კ. გვარჯალაძემ, აკაკი ჩხენკელმა, ინა ჟორდანიამ, ვ. ჩუბინიძემ და ს. ბლიაძემ საზოგადოებას მთლიანათ მიაგონა სილვას სიტყვა, წარმოთქმული 5 თებერვალს 1922 წელს არალეგალურ ს.ს.-დ. მ.პ. კონფერენციაზე. წაკითხულ იქნა აგრეთვე ვლასა მგელაძის ლექსი სილვანზე.

### კარლო ჩხეიძე.

კარლო ჩხეიძის 20 წლის ტრადიკულათ გარდაცვალების აღსანიშნავათ. ს.ს.-დ. მ. პარტიის საზღვარ-გარეთელმა ბიურომ მოაწყო სამოქალაქო პანაშვიდი S-tes Savantes ის ბინაზე 19 ივნისს 1946 წელს.

ძვირფას კარლოს მოგონების აღსადგენათ ილაპარაკა: ნ. ჟორდანიამ, ს. ფირცხალავამ, ვ. ლამბაშიძემ, გ. ჟურულმა, ევ. გეგუქორმა, კ. გვარჯალაძემ, გრ. ურატაძემ და აზერბაიჯანელის წარმომადგენელმა.

### საქართველოს საკითხი.

უკანასკნელ დიდი ომის შემდეგ მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზს დაეპატრონა ახალი ძალები, რომლებიც ნაკლებათ იცნობენ საქართველოს საკითხს.

საქართველოს ნაციონალურ მთავრობამ საქიროთ დაინახა გაერკვია ისინი და ამ მიზნით გამოუშვა მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას ხელმოწერით—ბროშიურა. ამ დოკუმენტში მოკლეთ და მკაფიოთ, მოთხრობილია ჩვენი ერის წარსული, მისი თავისუფლების ხანა, მისი დამოუკიდებლობის იურიდიულად ცნობა ევროპის ქვეყნებისა და რუსეთისაგან და ამ უკანასკნელის მიერ საქართველოს დაპყრობა და ბრძოლის გაგრძელება ერის მიერ დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად.

ის დაურიგდა, გასული წლის უკანასკნელ თვეში, პარიზში შეკრებილ ერთა კავშირის სხდომაზე დამსწრეთ და დაევხავნა ეურნალ-გაზეთებსაც.

### წმ. ნინოს დღე.

ტუბერკულოზით ავადმყოფთა დამხმარე კომიტეტმა 23 იანვარს 1949 წელს, პარიზში მოაწყო წმ. ნინოს დღე ქართველი ერის გაქრისტიანების 1500 წლის აღსანიშნავათ.

ნ. ჟორდანია მ წარმოსთქვა შესავალი სიტყვა. დამსწრე საზოგადოება შესავალი სიტყვით დიდი კმაყოფილი დარჩა და მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

გ. ყიფიანმა წაიკითხა ქ-ნ ინა ჟორდანიას მიერ შედგენილი მოხსენება—«ქართველი ერის გაქრისტიანების 1500 წლის თავი».

მომავალ კრებულში იქნება მოთავსებული ნოე ჟორდანიას შესავალი სიტყვა და ქ-ნ ინა ჟორდანიას მოხსენება.

დასასრულ საზოგადოებამ მოისმინა ქართული სიმღერები, ფირფიტებზე გადაღებული.

დამსწრენი დიდი ნასიამოვნები დაიშალენ.

ასეთი მეტათ კარგი შინაარსიანი დღის მოწყობისათვის ხსენებული კომიტეტი დიდი მადლობის ღირსია,—აგრეთვე განსაკუთრებით მისი თავმჯდომარე ინა ჟორდანია, რომელიც ენერგიულათ განაგრძობს უანგარო მოღვაწეობას.

როგორც გადმოგვცემენ, კომიტეტს განზრახვა აქვს ეს მოხსენება გაიმეოროს სხვა ქალაქებშიაც, სადაც ქართველები ცხოვრობენ.



### რედაქციისაზან.

ჩვენი კრებული გამოდის ამხანაგების ნივთიერი დახმარებით. რედაქცია მიმართავს როგორც პარტიის წევრთ, ისე თანამგრძობთ, გაიღონ თავიანთი წვლილი შემდეგი ორგანოს გამოსაცემათ.

შემომწირველთა სია გამოცხადებულ იქნება.

ფული და დასაბეჭდი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

P. Sardjveladzé.

35, rue de L'aude 35.

Paris (14)